სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 სექტემბერი 2006 №212 (2834) ფასი 50 თეთრი



AFP ჰელსინკიდან

ტეემუ რანიკომ, როგორც ყოველთვის, ქართველების კალათს ქულები არ დაუკლო

ქართველები ფინეთში: საუნა ქერა ქულებით

A სვლა საგაისოდ გადაიდო

ნაგება ყოველთვის უსიამოვნოა, მით უმეტეს, ევროპული კალათბურთის ფსკერზე დაძირული ამდენი წელი ამოყვინთვას რომ ცდილობ და უშუალო კონკურენტთან აგებ, მაგრამ ნუ შევქმნით ამ მარცხისგან ტრაგედიას და თავსაც ნუ წარმოვიდგენთ განადგურებულად. იცოცხლეთ, გვერჩივნა, საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს გუშინ ჰელსინკშივე დაემარცხებინა ფინელები და მათთან საგაისო თბილისურ შეხვედრას მშვიდად დალოდებოდა, მაგრამ მშვიდად და უშფოთველად დღეს ბურთსაც არავინ ჩაგაგდებინებს და თავსაც არ მოგაფხანინებს.

ფეხმარდი და ხელმარჯვე ფინელები მეორე მეოთხედში 21 ქულას უგებდნენ ქართველებს, საბოლოოდ კი გორდონ ჰერბერტის გუნდმა 10 ქულით წაგება „მოახერხა“ და მომავალ წელს სპორტის სასახლეში უფრო დიდი სხვაობით გამარჯვების იმედით დატოვა ორ წელიწადში ორჯერ მძლეველი გუნდის ცივი ქვეყანა.

და კიდევ: ზაზა ფაჩულიამ ჰელსინკიდან 36 ქულა და 13 მოხსნა წამოიღო.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

თეთრი რღვეული

ლიონი რეალთან: ბრდღვინავს და ბდღვნის

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

ფოტო ალექსანდრე ოყაროვისა

სულიკო დავითაშვილმა თავის პირველ გოლს კარგა ხანი უყურა

ვარჯიში უმცროსკლასელებთან

თბილისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 700 (ტევადობა 900)

ამერი 3:0 სპარტაკი

1:0 დავითაშვილი (13), 2:0 სევასტოპულო (18პ), 3:0 დავითაშვილი (47)

ამერი	სპარტაკი
ლ. ნადირაშვილი, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი, დიდავა, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე (გაბისკირია 59), გიზო ჯელაძე, დოლიძე (გვაძაბია 64), ს. დავითაშვილი, სევასტოპულო (სილაგავა 46)	ჩალაძე, ა. გაგნიძე, ქაჯაია, ტაბუცაძე, შუბითიძე, მაისაშვილი, ჯიშკარიანი (გიორგი ჯელაძე 59), გელაძე (გაბაშვილი 46), ჯიბლაძე (ახალბედაშვილი 69), ოქროშიაშვილი, ჩიკვაიძე
სათადარიგონი: ქვაჩახია; ელბაქიძე, ბოლქვაძე, ბერიანიძე	სათადარიგონი: არახამია; რატია, გოგოხია, ალექსაია
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	მწვრთნელი: ტარიელ გაგნიძე

გაფრთხილება: ა. გაგნიძე (3), დიდავა (10), ჩიკვაიძე (15)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია; ხ. გაგნიძე

ფოტო ალექსანდრე ოყაროვისა

ილია ნანობაშვილი

...მე-13 წუთზე სულიკო დავითაშვილს იღბლიანად მიუვიდა ბურთი „სპარტაკის“ მცველისგან, ნაბიჯი გადადგა და ზვიად ჩალაძეს რბილად გადაავლო — ასე გაიხსნა ანგარიში გლდანში, სადაც „ამერმა“ მისთვის ერთ დროს ტოლსწორ „სპარტაკს“ თითქმის ოფლდაუღვრელად მოუგო და სამი რაა, სამი ამდენი კიდევ უნდა გაეტანა.

ისე, სათასო ჯგუფებიდან ერთი გუნდი რომ გადიოდეს, სულ სხვა ბრძოლები იქნებოდა. ასე კი, ვის ეპარება ეჭვი, რომ A ჯგუფიდან „ამერი“ და „ზესტაფონი“ ცალი ფეხით გაირბენენ.

გიორგი ჩიხრაძემ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (ზურაბ ქვაჩახია, გიორგი ელბაქიძე, ვახტანგ ხვადაგიანი, დავით ბოლქვაძე) დასვენა და საშიში არც არაფერი უქნია — ძალიან სუსტია „სპარტაკი“, უკვე პირველ ლიგაშიც ვეღარ მრისხანობს.

„ყვითლებმა“ თავიდანვე შეუტიეს და დავითაშვილის გოლამდე დენის დობროვოლსკის შორიდან დარტყმული იყო გამოსარჩევი, სანტიმეტრებით რომ ასცდა კარს. „აბრეზას“ გოლიდან ხუთ წუთში კი დავით სევასტოპულომ შეაგდო: საჯარიმოში თავით შეიგდო ბურთი, პაატა შუბითიძისგან მუჯლუგუნი მიიღო და მსაჯმა გიორგი ვადაჭკორიამაც პენალტი დანიშნა, რომელიც თავად სევასტოპულომ შეასრულა ზუსტად და მშვიდად — 2:0.

...ბურთს თითქმის სულ „ამერი“ ფლობდა და „სპარტაკს“ მცირე შანსიც არ მისცემია. პირველი ტაიმი უნიათო თამაშში გაილია, მეორის დასაწყისი და მესამე გოლი კი ერთი იყო: ბურთმა დიდხანს იტრიალა სტუმართა საჯარიმოში და საბოლოო დარტყმა ისევ დავითაშვილმა ითავა. ეგაა, სულიკოს თავადაც გაეცინა, როცა ბურთი კარში დაინახა — მეკარეს იღლიაში გაუძვრა.

ჩიხრაძემ შეცვლები გააკეთა და გარკვეული გადაადგილებები მოახდინა: ზურაბ გვაძაბიას შემოსვლით დავით მჭედლიშვილი დაცვიდან ნახევარდაცვაში გადასწია, გიზო ჯელაძემ კი თავდამსხმაში აიწია და დავითაშვილს ეხმარებოდა.

„აბრეზას“ ორჯერ შეეძლო საჰეთთრიქო გოლის გატანა, ერთხელ თითქმის პირისპირ გასულმა ვერ მოახერხა დარტყმა, მეორედ კი ჯელაძე-მჭედლიშვილის კომბინაციას მიაყოლა უზუსტო გასროლა.

საგოლე შანსები გიორგი სილაგავამ, მჭედლიშვილმა და ჯელაძემაც გააცუდეს, თუმცა ეს არ იყო ის თამაში, აუცილებლად 5:0 ან 6:0 რომ უნდა მოგეგო — მთავარია, სხვა დროს უფრო ფხიზლად იყვნენ „ყვითლები“, თორემ ასეთი მომენტების განიავებას მხოლოდ „სპარტაკის“ დონის გუნდები თუ აპატიებენ.

კომისიამ მსაჯს მსაჯობა დაუწუნა, დამკვირვებელს — მსაჯობის მსაჯობა

ბაფრი ჯიბილაძის ფოტო

12 სექტემბერს შედგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების სადისციპლინო კომისიის სხდომა. განხილულ იქნა ეროვნული ჩემპიონატის მე-5 ტურის კალენდარული მატჩის „ამერი“ — „ბორჯომის“ ვიდეოჩანაწერი.

მატჩის არბიტრმა, ეროვნული კატეგორიის მსაჯმა პაატა დოგრაშვილმა ვერ შეძლო მოთამაშეთა მხრიდან უხეშობის აღკვეთა და, შესაბამისად, სანქციების დროული გამოყენება.

მსაჯების დამკვირვებელმა მერაბ ჭელიძემ წარმოდგენილ პატაკში გადამეტებულად მაღალი შეფასება მისცა მსაჯობას.

კომისიამ დაადგინა:

1. ეროვნული კატეგორიის არბიტრი პ. დოგრაშვილი მოთამაშეთა უხეშობისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო დისკვალიფიცირებული იქნას ორი მატჩით საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

2. მსაჯთა დამკვირვებელი მ. ჭელიძე არბიტრის შეფასების გადამეტებისთვის დისკვალიფიცირებული იქნას ორი მატჩით საქართველოს ჩემპიონატში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება

A ჯგუფი

ამერი 3:0 სპარტაკი
ზესტაფონი 5:0 კახეთი

B ჯგუფი

ვიტ ჯორჯია 0:0 მესხეთი
ტორპედო 4:1 ბორჯომი

C ჯგუფი

დინამო 4:1 ნორჩი დინამოელი
ოლიმპი 0:0 ჩიხურა

D ჯგუფი

სიონი 2:0 მეშაძრე
მერანი 0:4 ბათუმი

ინგლისი

ჩემპიონატი
VII ტური

ლიდსი 0:3 სანდერლენდი

II ლიგა. VIII ტური

აკრინგტონი 5:0 რეძსემი
ტორკი 0:0 როვერსი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
VI ტური

ემდენი 1:0 დიუსელდორფი
ვაგდებურგი 1:0 ერფურტი
დორტმუნდი (მ) 1:0 ოსნაბრიუკი
ლიუბეკი 2:1 ალენი

სამხრეთ რეგიონალლიგა
VII ტური

ზაარბრიუკენი 4:1 პირმასენსი
პფულენდორფი 1:2 კიკერსი
ზინგენი 3:0 როიტლინგენი
დარმშტადტი 1:2 ვეჰენი

დანია

I დივიზიონი. VII ტური

ბრაბრანდი 0:1 კოლდინგი
ფრემადი 1:4 ორჰუსი
ტისტედი 2:2 კიოგე
ფრედერისია 2:1 ჰელერუპი
ჰერფიოლგე 2:0 აკადემისკი
ლიუნგბიუ 2:1 იოლსტიკე
სიონდერისკე 3:1 ფრემი

ნორვეგია

I დივიზიონი. XXII ტური

ბოდიო გლიმტი 5:1 ოსლო იოსტი

სლოვენია

I ლიგა. VIII ტური

კოპერი 0:0 პრიმორიე
დომჟალე 1:0 ფაძტორი
ნოვა გორიცა 1:4 ბელა კრაინა
პუბლიკუმი 3:3 დრავა ჰტუი
მარიბორი 1:3 ნაფტა

შვედეთი

სუპერეტა. XXIV ტური

ლიუნგსკილე 1:2 იორეგრუ

დავით სიფფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

დინამომ გაიჯეჯილა

ასეთი მომენტები „ნორჩი დინამოელის“ კართან ხშირი იყო

ვ.ფარცხ ფოტოლაბორატორიის ფოტოები

თავისი ჯაბა დვალმაც გაიტანა

კოზა ინასარიძე

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის „დინამომ“ ნორჩი დინამოელების დამარცხება უპრობლემოდ შეძლო და საქართველოს თასის გათამაშების ახალ ფორმატში პირველი სამი ქულაც მიითვალა.

„დინამომ“, შეიძლება ითქვას, ნახევარი ძალით მოუთავა საქმე ნორჩებს, თუმცა ჯგუფის სხვა მეტოქეებთან ალბათ ვეღარ გაისეირნებს — ორი „დინამოს“ გარდა ხომ G ჯგუფში ამბიციური უმაღლესლიგელი რუსთავის „ოლიმპი“ და საჩხერის „ჩიხურა“ არიან.

გუშინ კი „დინამოს“ მეტოქე საწყისი ნახევარი საათი შეეწინააღმდეგა, თუმცა ამ დროის განმავლობაშიც მასპინძლებს ორი-სამი კარგი საგოლე მომენტი შეექმნათ — მაგალითად, პირველ გოლამდე ბრაზილიელმა ამბროზიომ ისეთი დაარტყა, კინაღამ ხარიხა ჩამოაგდო...

გოლი კი იმავ ამბროზიომ გაიტანა, ვინც ძელისგან ასხლეტილ ბურთზე მეტოქეებს დაასწრო და ზუსტად დაარტყა.

ამის შემდეგ სანდრო იაშვილს ორი უნაღდესი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ პირისპირ გასულს ორჯერვე ნორჩმა კობახიძემ აჯობა. ისე კი, შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ „დინამოს“ ყოველი შეტევისას შეეძლო გოლის გატანა, ერთი გრძელი და ზუსტი პასი კობახიძესთან პირისპირ დარჩენის ტოლფასი იყო. სხვათა შორის, „ნორჩი დინამოელისგან“ უფრო გამართულ თამაშს ველოდით.

შესვენებამდე იაშვილმა თავისი საქმე მაინც გააკეთა. მან ჯერ ამბროზიოს მისცა ჩინებული პასი, ხოლო ამ შეტევას დასარტყმელ პოზიციაზე თავადვე დახვდა და ამბროზიოს დაბრუნებული ბურთიც გაიტანა.

განახლდა თუ არა თამაში, ჯაბა დვალმა იხეირა. ფლანგიდან გიორგი ნავალოვსკის შეტევას მოედნის შუიდან გაჰყვა, ბოლოს კი ჩაწოდებისას დასწრებაზე ითამაშა და ჭვინტით შეაგდო.

მატჩმა ყველანაირი აზრი დაკარგა, „დინამო“ აშკარად ძალებს ზოგავდა. ტრიბუნიდანაც კარგად ჩანდა, ნორჩებს არც თამაშის სურვილი ჰქონდათ და არც ის იცოდნენ, როგორ ეთამაშათ. ქუჩის ფეხბურთი ხომ იცით, ნაირნაირი ორიგინალური ფინტებით რომ ცდილობენ მოთამაშენი მაყურებლებისთვის თავის მოწონებას, ასე იყო გუშინ „მიხეილ მესხზე“. ნორჩ დინამოელებს ამ „მარიაჟით“ არაფერი გამოსვლიათ, თავიანთ კართან კი ძალიან ბევრი მომენტი მიიღეს. „დინამომ“ ეს მომენტები ვერ გამოიყენა, ალბათ, მოდუნებულნი იყვნენ და იმიტომ.

მატჩის ბოლო წუთებზე „დინამოს“ მცველმა კახა მახარაძემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, წუთის შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა ზამირ ჯანაშიამ შორიდან ულამაზესი გოლი გაიტანა...

თბილისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

დინამო 4:1 ნორჩი დინამოელი

1:0 ამბროზიო (28), 2:0 იაშვილი (44), 3:0 დვალი (47), 3:1 მახარაძე (89ს.კ.), 4:1 ჯანაშია (90)	
დინამო: ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, კ. მახარაძე, ამბროზიო, აკობია, ხმალაძე, ხუციშვილი, ა. კობახიძე (ნავალოვსკი 35), დვალი (ურტადო 74), ს. იაშვილი (ზ. ჯანაშია 80)	**ნორჩი დინამოელი:** გ. კობახიძე, ზვ. ლობჟანიძე, უსენაშვილი, ტოსტიაშვილი, ბრეგაძე, ჩალაძე (დევიძე 66), ლომაშვილი, კუტივაძე, გ. იაშვილი, ბიბილეიშვილი (მუმლაძე 79), გ. ჩხეტიანი
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; ნერგაძე, გრიგალაშვილი, ანგულო	*სათადარიგონი:* შენგელია; ნასარაშვილი, დონაძე, მიქელაძე
მწვრთნელი: კახა კაჟარავა	**მწვრთნელი:** თამაზ კოსტავა
გაფრთხილება: ს. იაშვილი (30)	
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ლ. მიქელაძე, ა. კოკაია; ლ. კვარაცხელია	
დამკვირვებელი: შოთა ბაქრაძე; **დელეგატი:** კახა კარანაძე;	

ტორპედომ არგენტინული ბორჯომი დალია

ქუთაისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. ტორპედო. 1 500 მაყურებელი

ტორპედო 4:1 ბორჯომი

1:0 გამეზარდაშვილი (36ბ), 2:0 კრასოვსკი (38), 2:1 ნინი (51), 3:1 ღონღაძე (53), 4:1 წიქარიშვილი (75)	
ტორპედო: კოდალაევი, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, ფარულავა, გოგია, ზ. ჩხეტიანი (ლაღაძე 54), გ. ჩხეტიანი (ჭედია 63), გურული, დოლონაძე (მ. ღონღაძე 46), კრასოვსკი, წიქარიშვილი	**ბორჯომი:** პაკორი (შეყრილაძე 46), ვომარო (ტალახაძე 44), ბაქრაძე, ნინი, ავერსა, ზ. ავალიანი, შ. ჯიქია, კასტელო, ფრანკი (კიკნაძე 50), ბედნი, სუხიაშვილი
სათადარიგონი: ქვილითაია; ნ. ნადირაძე, თ. უგრეხელიძე, ცქვიტაია	*სათადარიგონი:* თედიაშვილი, ლაზარაშვილი, გოგიჩაიშვილი
მწვრთნელი: იური კვირნაძე	**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე
გაფრთხილება: ბაქრაძე (36), ლაღაძე (80)	
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; მ. ნაკაიძე, ე. ნარმანია; ჯ. ბუიშვილი	
დამკვირვებელი: დ. მენთეშაშვილი; **დირექტორი:** ბ. მჭედლიშვილი	

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

პირველი ტაიმის ნახევარმა თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა, შემდეგ კი უპირატესობა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და შეტევებსაც მოუხშირეს.

36-ე წუთზე, „ტორპედოს“ ერთ-ერთი შეტევისას, დავით ბაქრაძემ საჯარიმოში გივი ჩხეტიანი მოცელა — მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც დავით გამეზარდაშვილმა ზუსტად შეასრულა და ბორჯომელთა რბევას საათავე დაუდო.

სამ წუთში რიონისპირელებმა მეორედ აიღეს ბორჯომელთა კარი — ზვიად ჩხეტიანის გადაცემას გიორგი კრასოვსკიმ ფეხი დაუხვედრა — 2:0.

ტაიმის მიწურულს ტორპედოელმა მანუჩარ წიქარიშვილმა ბურთი ძელს გაარტყა, მალე კი არგენტინელი მეკარის შეცდომას კინაღამ კურიოზული გოლი მოჰყვა ბორჯომელთა კარში — რობერტო პაკორმა ბურთის თამაშში შეყვანისას პირდაპირ წიქარიშვილს გაარტყა და ასხლეტილი ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს.

მეორე ტაიმში „ბორჯომმა“ სცადა გაბრძოლება. 51-ე წუთზე დიეგო ნინიმ ახლო მანძილიდან ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდეც შეამცირა, თუმცა ამას თამაშის სურათი დიდად არ შეუცვლია. 53-ე წუთზე კი წიქარიშვილი-ღონღაძის ორსვლიან კომბინაციას კიდევ ერთი გოლი მოჰყვა ბორჯომელთა კარში — 3:1.

მალე მასპინძლებმა ერთხელაც გაიტანეს — გივი ჩხეტიანის პასით მამუკა ღონღაძემ იხეირა, თუმცა არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა და გოლი გააუქმა.

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კი ქუთაურებმა „ნამდვილი“ გოლი მაინც გაიტანეს — გიორგი ჭედიას საჯარიმოში ჩაწოდებულზე წიქარიშვილმა ყველას დაასწრო და 4:1.

ზ.ფარცხ ფოტოლაბორატორიის ფოტო

ზედიზედ მეორე მატჩია, „ტორპედოს“ კაპიტანი დავით გამეზარდაშვილი თერთმეტი მეტრიდან ზუსტად ურტყამს

ქართველებმა მსოფლიო მომატაკრეს

ინტერვიუ პო უკრაინსკი ტოპმიოლერთან

საქართველოს ნაკრების კიევურმა მატჩმა უკრაინაში დიდი ინტერესი გამოიწვია. იქაურები ქართველთა თამაშით მოხიბლულნი დარჩნენ, ქართულ ფეხბურთზე კი იმ დღეებში იმდენი წერეს და ილაპარაკეს... ბუნებრივია, უკრაინელთა ყურადღება არც კლაუს ტოპმიოლერს მოჰკლებია. საქართველოს ნაკრების გერმანელ თავკაცს „გაზეტა პო უკრაინსკი“ ესაუბრა...

კლაუს ტოპმიოლერი და მისი ერთ-ერთი ნაშეგირდალი ვარსკვლავი მიხაელ ბალაკი

— რატომ დათანხმდით საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას?

— ბევრი წინადადება მქონდა. არაბული ქვეყნებიდანაც კი მიწვევდნენ. მერე კი საქართველოში ჩასვლა და იქაურ ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკების დაწყება მირჩიეს. ქართველების წინადადება ჩემთვის ყველანაირად მისაღები აღმოჩნდა.

— დიდხანს იფიქრეთ?

— ორი კვირა.

— არ ნანობთ?

— არანაირად. პირობებზე საწუწუნო არაფერი მაქვს, მივლინებებშიც ხელს მიწყობენ. ბევრი მოგზაურობა მიწევს, რადგან საქართველოს ნაკრებში ბევრი ლეგიონერი თამაშობს.

— შეუძლია საქართველოს ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლა?

— სიმართლე ვთქვათ, ჩვენი შანსები არც ისე დიდია, ისევე, როგორც უკრაინის. საფრანგეთს მსოფლიოს საუკეთესო გუნდად მივიჩნევ. მართალია, მათ აღარ ჰყავთ ზიდანი, მაგრამ ჰყავთ რიბერი. ჯგუფის მეორე ფავორიტი კი იტალიაა.

— საქართველოს ნაკრების ლიდერი კალაძეა?

— ასეა, მაგრამ არც კობიაშვილი და არველაძე დაივიწყოთ.

— 1993 წელს თქვენი გაწვრთნილი „აინტრახტი“ უეფას თასზე უკრაინულ „დნიპროს“ შეხვდა...

— მახსოვს. მანამდე მოსკოვის „დინამოს“ მოვუგეთ, მერე „დნიპროც“ გავიარეთ (2:0, 0:1). ისიც მახსოვს, უკრაინაში ჩამოსვლის წინ ფეხბურთელებმა გამაფრთხილეს, რომ აქაური სასტუმროს საკვებს არ მიიღებდნენ. ჩვენც ჩვენი მზარეული წამოვიყვანეთ.

— „ლევერკუზენი“ საუკეთესო გუნდი იყო თქვენს სამწვრთნელო კარიერაში?

— დიახ. ვფიქრობ, 2002 წელს ჩემპიონთა ლიგა ჩვენ უნდა მოგვეგო, მაგრამ მეკარე ბუტმა გვიმტყუნა — რაულისგან ძალიან იოლი ბურთი გაუშვა. თან ფინალში არ გვყავდნენ ტრავმირებული ნოვოტნი და დისკვალიფიცირებული ზე რობერტო. 1:2 წავაგეთ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრების ბევრი შანსი გვქონდა... სამწუხაროა, რომ გლაზგოში მაშინ სხვა გუნდმა გაიხარა. ისე, ფინალამდე „მანჩესტერ იუნაიტედი“ გავაგდეთ და მისმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა წერილიც კი გამომიგზავნა, ჩემს მშობლიურ მიწაზე მოგებას გისურვებო...

— გერმანიას ყოველთვის ჰყავდა დიდი მწვრთნელები: ჰერბერგერი, შიონი, დერვალი, ჰაინკესი, ბეკენბაუერი... ვის თვლით ამათგან საუკეთესოდ?

— ბეკენბაუერს. ის სუპერფეხბურთელი იყო და სუპერმწვრთნელიც გახდა. სხვათა შორის, ფრანცთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, ერთმანეთს ხშირად ვურეკავთ და ხშირად ვხვდებით.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიამ კარგად ითამაშა?

— ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ ნახევარფინალში იტალიამ აჯობა და დამსახურებულადაც მოუგო.

— მუნდიალის წინ მთელი გერმანია კანის და ლემანის კონფლიქტზე ლაპარაკობდა...

— ვფიქრობ, კონფლიქტი არაფერ შუაშია. ხომ ნახეთ, როგორ ამხნევებდა კანი ლემანს. ორივე ბრწყინვალე მეკარეა და კლინსმანს ურთულესი არჩევანი უნდა გაეკეთებინა. არც კი ვიცი, რომელი იქნებოდა პირველი, ვთქვათ, ჩემს გუნდში. ეგაა, გერმანიაში კანს უფრო მეტი ქომაგი ჰყავს და მათთვის მტკივნეული იყო მისი სათადარიგოთა სკამზე ნახვა.

— „ლევერკუზენში“ გერმანული ფეხბურთის მთავარ ვარსკვლავს მიხაელ ბალაკს წვრთნიდით. შეუძლია მას „ჩელსიშიც“ ისე ითამაშოს, როგორც „ბაიერნში“ თამაშობდა?

— ბალაკს კარგი ტექნიკა აქვს და ფიზიკურადაც ძლიერია. კარგად თამაშობს თავით. ასე რომ, მას არ ექნება პრობლემა პრემიერლიგაში.

— იცით, რომ შარშან კიევის „დინამოს“ მწვრთნელად შესაძლოა, თქვენი თანამემამულე ოტმარ ჰიცფელდი დანიშნულიყო?

— მეც მივიღე შემოთავაზება იგორ სურკისისგან, მაგრამ მაშინ ოჯახური პირობების გამო არ შემეძლო კიევში გადმობარგება.

— დიდი ოჯახი გაქვთ?

— მეუღლე და სამი შვილი მყავს. ქალიშვილი მომღერალია. უფროს ვაჟს დინო ძოფის პატივსაცემად დინო დავარქვი. იგი მეორე ბუნდესლიგის „ოფენბახში“ თამაშობს, უმცროსი კი სკოლის მოსწავლეა.



ცოტაც და, რაიმონ დომენეკის საფრანგეთი ბრაზილიის ჰეგემონიას დაამხობს

საქართველო სექტემბერში დაცხრა

მინუს ცხრა — ასეთი რეგრესი განიცადა საქართველოს ნაკრებმა ფიფა-კოკა-კოლას სასექტემბრო რეიტინგში და ეს გასაკვირი არცაა. კლაუს ტოპმიოლერის შეგირდებმა ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე სექტემბერში ორი მატჩი გამართეს საფრანგეთთან და უკრაინასთან და ორივეში დამარცხდნენ.

არადა, აგვისტოში ქართველები 84-ე საფეხურზე იყვნენ, რაც ბოლო წლების სარეკორდო შედეგად ითვლებოდა.

ჩვენს მეტოქეთაგან საუკეთესო, მეორე ადგილზეა საფრანგეთი 1534 ქულით. ეს საფეხური წინა თვეში მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას ეპყრა, რომელიც ახლა მეხუთემდე ჩაქვეითდა.

ორი ადგილით წაიწია უკრაინამ და ახლა მეცამეტეზეა, შოტლანდიელებმა კი ერთბაშად ექვსი საფეხური აირბინეს ფარერებთან (6:0) და ლიტვასთან (2:1) მოგებების შემდეგ. ლიტვა — 67-ეა, ფარერები კი — 179-ე.

ძახა ზალამბერიძე

1	1	ბრაზილია	1574				
2	4	*საფრანგეთი*	1534	13	15	*უკრაინა*	1029
3	3	არგენტინა	1492				
4	5	ინგლისი	1477	34	40	*შოტლანდია*	746
5	2	*იტალია*	1474				
6	6	ჰოლანდია	1327	67	65	*ლიტვა*	461
7	10	ჩეხეთი	1312				
8	9	გერმანია	1291	93	84	საქართველო	326
9	8	პორტუგალია	1272				
10	7	ესპანეთი	1255	179	169	*ფარერები*	38

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

თქვენი ინტერვიუ

მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmall@Caucasus.net

ჰა და ჰა: ჰაინცე და ჰაშეკი

ჩეხეთის ნაკრების ფორვარდმა მარეკ ჰაინცმა სამედიცინო შემოწმების შემდეგ „სენტ ეტიენთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

სტამბოლის „გალათასარაიდან“ წასვლის მერე უკლუბოდ დარჩენილ ჰაინცს და ინგლისის პრემიერლიგაში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფრანგული გუნდი არჩია, რომელსაც ჩეხი ივან ჰაშეკი წვრთნის.

მართალია, სატრანსფერო ფანჯარა დახურულია, მაგრამ 29 წლის ფორვარდს „სენტ ეტიენში“ გადასვლის უფლება მისცეს, რადგან უკლუბოდ იყო.

„ყველაფერი შეთანხმებულია და ფეხბურთელი დღეს უკვე ახალ გუნდთან ერთად ივარჯიშებს“ — განაცხადა ჰაინცის აგენტმა პაველ ჟიკამ.

„სენტ ეტიენი“ მარეკ ჰაინცისთვის მეხუთე არაჩეხური კლუბი იქნება. მას „ჰამბურგში“, „არმინიაში“, „მიონხენგლადბახში“ და „გალათასარაიში“ უთამაშია. თუკი თავს გამოიჩენს, „სენტ ეტიენი“ ჩეხს კონტრაქტს ორი წლით გაუხანგრძლივებს.

ირაკლი ნინიძე



ლერუამ განა გაისიგრძეგანა

განის ნაკრების მწვრთნელად ფრანგი კლოდ ლერუა დაინიშნა, რომელსაც აფრიკაში კარგად იცნობენ. იგი საკმაო ხნის მანძილზე და წარმატებულად კამერუნს წვრთნიდა.

მან განის ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მთავარი მიზანი, 2008 წელს, აფრიკის თასზე წარმატებული თამაშია, რომელსაც სწორედ განა მასპინძლობს.

ლერუა რატომირ დუიკოვიჩის შემცვლელია. შეგახსენებთ, რომ სერბი ამ ზაფხულს გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ განა გერმანიის მუნდიალზე მერვედფინალში გაიყვანა, სადაც ბრაზილიასთან დამარცხდა.

ლერუა კი კამერუნის გარდა, სენეგალისა და დომინიკის რესპუბლიკის ნაკრებსაც წვრთნიდა, რომლებთან ერთადაც ასევ საკმაო წარმატებას მიაღწია. ცნობილ სპეციალისტს პირველი გამოცდა ახალ პოსტზე მომავალ თვეში, იაპონიასთან და კორეასთან ამხანაგურ მატჩებში ელის.

კოკი კანდელაკი

დიეგოს გონებას გულმა აჯობა

დიეგო ტრისტანმა პრემიერლიგაში გადასვლაზე უარი თქვა და სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა. 30 წლის ფორვარდმა „მალიორკასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გრეგორიო მანსანოს გუნდში იგი ლა კორუნიის „დეპორტივოდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. არადა, 30 წლის ფორვარდის ხელში ჩაგდება ინგლისურ „ბოლტონსა“ და „ჩარლტონსაც“ ძალიან სურდათ. ისინი ფეხბურთელს სარფიან წინადადებებს სთავაზობდნენ.

„ინგლისური კლუბები მეტ ფულს მპირდებოდნენ და გონება პრემიერლიგაში გადასვლას მკარნახობდა, თუმცა გულისხმას ავყევი და სამშობლოში დარჩენა გადავწყვიტე. ახლა, ჩემი მთავარი მიზანი ძირითად შემადგენლობაში თამაში და „მალიორკას“ მაისურით ბევრი გოლის გატანაა“ — განაცხადა ტრისტანმა.

„დიეგოს ველაპარაკე და იგი აღფრთოვანებული დარჩა ჩვენი გეგმებით. გადამწყვეტი როლი სწორედ ამან ითამაშა“ — თქვა „მალიორკას“ პრეზიდენტმა ვისენტე გრანდემ.

გრეგორიო მანსანო: „ტრისტანი გამოცდილი და ჩინებული ფორვარდია. იგი „მალიორკას“ ძალიან დაეხმარება“.

გიორგი ძაძაბაძე

ტელეარბიტრი
კუფური კამერამ ჭამოიჭირა

სამუელ კუფური (მარცხნივ) უხეშობაში ამჩილეს

მსაჯმა ვერა, მაგრამ ტელეკამერამ „დაინახა“, რომ „ლივორნოს“ განელმა მცველმა სამუელ კუფურმა „რომასთან“ შეხვედრაში მეტოქე კრისტიან პანუჩის იდაყვი ჩაარტყა. სადისციპლინო კომიტეტმა განელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა, თამაში კი რომაელებმა 2:0 მოიგეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა მასპინძლები კუთხურს აწვდიდნენ და მსაჯს გამოეპარა ის მომენტი, კუფურმა პანუჩის მალულად რომ ჩასცხო.

განელი, ტელეკამერის „გამოჭერილი“ პირველი ფეხბურთელია ამ სეზონში. შეგახსენებთ, რომ „ლივორნოში“ იგი „რომადან“ გადავიდა.

სამუელ კუფურის გარდა მომდევნო ტურს გამოტოვებენ: არონიკა („რეჯინა“), ბრიგი („კიევო“), კონტი („კალიარი“), დელვეკიო და ფალკონე (ორივე „სამპდორია“).

თვალთვალი
დონადონიმ პანუჩი ნახა

კრისტიან პანუჩი ამბობს, რომ იტალიის ნაკრების მაისურას აღარასოდეს ჩაიცვამს. „მე მხოლოდ „რომაზე“ ვფიქრობ“ — თქვა მან ჩემპიონთა ლიგაში დონეცკის „შახტართან“ თამაშის შემდეგ.

მაინც, რატომ წამოიჭრა პანუჩის „სკუადრა აძურაში“ შესაძლო დაბრუნების თემა? იმიტომ, რომ „რომას“ მიერ „შახტარის“ 4:0 რბევას, ნაკრების თავკაცი რობერტო დონადონი ესწრებოდა და ზოგ ჟურნალისტს ეჭვი გაუჩნდა, რომ ეს მის გამო მოხდა.

„დონადონი ერთ-ერთი მაყურებელთაგანი იყო და მეტი არაფერი — თქვა 33 წლის, მრავალჭირნანახმა ფეხბურთელმა — მასთან ერთად მითამაშია და ძალიან კარგადაც ვიცნობ, მაგრამ მე ნაკრებში აღარაფერი მესაქმება. ერთადერთი, რაც მინდა, „რომაში“ თამაშია“.

კრისტიან პანუჩის იტალიის ეროვნულ გუნდში 48 თამაში აქვს ჩატარებული და ორი გოლი გატანილი, მაგრამ 2004 წლის შემდეგ ცისფერი მაისურა აღარ მოურგია.

პაპუნა კედია

ვარჯიში ზღვის პირას

ბრაზილიელი პლეიმეიკერი დენილსონი „პორტსმუთში“ გადასვლასთან ძალიან ახლოსაა. 29 წლის ფეხბურთელი ამჟამად „პომპეისთან“ ერთად ვარჯიშობს და თუ გუნდის მწვრთნელ ჰარი რედნაპს თავს მოაწონებს, „ფრატონ პარკის“ ბინადართა ახალი მფლობელი არკადი გაიდამაკი მის ხელფასზე ფულს არ დაიშურებს.

დენილსონმა „ბორდოსთან“ ახალ კონტრაქტზე შეთანხმებას ვერ მიაღწია და ახლა თავისუფალი აგენტია. მისით „ტოტენჰემი“ და „სელტიკი“ იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ საქმე ამაზე შორს არ წასულა, ხოლო საუდეთის „ალ ნასრი“ გადასვლისგან ბოლო მომენტში თავად ბრაზილიელმა შეიკავა თავი.

„ჩვენ მას ვაკვირდებით და თუ კმაყოფილნი დავრჩით, კონტრაქტსაც გავუფორმებთ“ — განაცხადა რედნაპმა.

შეგახსენებთ, რომ ერთ დროს დენილსონი მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი იყო, როდესაც ესპანურმა „ბეტისმა“ მასში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადა, მაგრამ სამხრეთამერიკელის კარიერა სათანადოდ ვერ აეწყო.

კლინსმანს შვილები სკოლაში დაჰყავს

იურგენ კლინსმანმა ქარაგმულად თქვა, 2010 წლის მუნდიალისთვის შეიძლება, გერმანიის ნაკრების მწვრთნელად დავბრუნდეო — მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ყოფილი ბუნდესტრეინერი კალიფორნიაში დაბრუნდა და, როგორც თავად ბრძანებს, „ბავშვები სკოლაში დაჰყავს“ და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებს.

„ამწუთას თავს ბედნიერად ვგრძნობ, რადგან ნორმალური ცხოვრებით ვცხოვრობ, შვილები სკოლაში დამყავს.“ — უთხრა კლინსმანმა ფიფას მიერ მსოფლიო მწვრთნელთა შეკრებაზე თავმოყრილ სპეციალისტებს ვიდეოტელეფონის საშუალებით. მოგეხსენებათ, კლინსმანმა მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებიდან ოთხ დღეში დატოვა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა და ქვეყნის საფეხბურთო კავშირის მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდის მომზადებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ მოულოდნელად თქვა:

„ვინ იცის, იქნებ 2010 წლისთავის გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ისევ მე ვიყო“.

საგულისხმოა, რომ ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, კლინსმანის სახელს შეერთებული შტატების ნაკრებს უკავშირებდნენ, მაგრამ ეს ჭორი თავად გერმანელმა უარყო. ამას დაემატა ის, რომ ყველას გაახსენდა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ახალი პრეზიდენტის, თეო ცვანციგერის ერთი ხნის წინანდელი ნათქვამი — სამხრეთ აფრიკის მუნდიალისთვის შესაძლოა, მწვრთნელად ისევ კლინსმანი გვეყოლოსო.

შეგახსენებთ, რომ 41 წლის კლინსმანი გერმანიის ნაკრებს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ედგა სათავეში.

პაპუნა კედია

იოსი ისევ აპტონ პარკზე

ისრაელის ნაკრების კაპიტანი იოსი ბენაიუნი ამ კვირაში ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს „ვესტ ჰემთან“.

აქამდე ამბობდნენ, რომ იოსი „ლივერპულს“ მიეშურებაო, თუმცა, ჭორი არ გამართლდა. ბენაიუნი ერთი წლის წინ გადავიდა „ვესტ ჰემში“ „ვესტ ბრომვიჩიდან“ და მალევე დაიგდო კარგი პლეიმეიკერის სახელი.

„არასდროს მითქვამს, რომ წასვლას ვაპირებდი — თქვა ფეხბურთელმა — „ყველაფერზე შევთანხმდით.“

ირაკლი გამყრელიძე

ლაციომ ოდოს სამკლავური დაუდო



იტალიური „ლაციოს“ მწვრთნელმა და კლუბის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ამიერიდან გუნდის კაპიტანი მასიმო ოდო იქნება. 30 წლის მცველმა გასულ უქმეებზე „მილანთან“ მატჩში უკვე მოირგო კაპიტნის სამკლავური და ამით ძალიან ბედნიერია.

„მეამაყება, რომ „ლაციოს“ კაპიტანი ვარ, ეს ჩემთვის დიდი პატივია და ყველაფერს გავაკეთებ, რათა გუნდს მაქსიმალური წარმატების მიღწევაში დავეხმარო“ — განაცხადა ოდომ.

იტალიის ნაკრების წევრი ამ ზაფხულს კინაღამ „მილანში“ გადავიდა, ბოლო მომენტში მხარეები მის ფასზე ვერ შეთანხმდნენ და ტრანსფერი ჩაიშალა. სიმბოლურია, რომ ოდომ „ლაციოს“ კაპიტნის და ლიდერის რანგში პირველი მატჩი სწორედ „როსონერის“ წინააღმდეგ ჩაატარა.

მასიმო ოდო: „მართალია, წავაგეთ, მაგრამ ჩინებულად ვითამაშეთ და ჩვენი მომენტები უკეთ რომ გამოგვეყენებინა, სულ მცირე, ქულას ავიღებდით. თუმცა კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს. „მილანთან“ მატჩი, რა თქმა უნდა, ჩემთვის განსაკუთრებული იყო. მინდორზე ბოლომდე დავიხარჯე. ახლა კმაყოფილი ვარ, რომ „ლაციოში“ დავრჩი და „როსონერში“ ჩემი ტრანსფერი ჩაიშალა“.

დაბოლოს, აღვნიშნოთ, რომ ოდო „მილანის“ აღზრდილია.

ძოკი ძანდელაძე

მემუჯლუგუნე ვირგლა

პრემიერლიგის მთავარი მემუჯლუგუნე, „მანჩესტერ სიტის“ მცველი ბენ ტეტჩერი რვამატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

თუმცა, ეს ვადა წამსვე გადაიზრდება 23-მატჩიან დისკვალიფიკაციაში, თუკი ვირგლა უელსელი უახლოეს ორ წელიწადში გამორჩეულად იუხეშებს.სეზონის დასაწყისში ტეტჩერს უკვე ჰქონდა 4-მატჩიანი აკრძალვა, პორტსმუთელ პედრო მენდესის იდაყვით გამასპინძლებისათვის. საერთოდ, მისი იდაყვი სამარცხვინო ნიშნად შეიქნა და კლუბმაც 100 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

საქმის გარჩევა ფეხბურთის ასოციაციაში საათნახევარს გაგრძელდა და საბოლოოდ, ის ოთხი მატჩი ცოტა გამოდგა — იდაყვი მენდესის სიცოცხლისთვის საფრთხის შესაქმნელად ჩაითვალა — ფეხბურთელი ერთხანს უგონოდაც ეგდო ბალახზე.

30 წლის ფეხბურთელი სასჯელს დაეთანხმა და ოქტომბრის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

ირაკლი გამყრელიძე

ბლაჟ სლიშკოვიჩს ქალალდი გადაახიეს

ბოსნია-ჰერცოგოვინას მწვრთნელმა ბლაჟ სლიშკოვიჩმა ევრო 2008-ის შესარჩევში უნგრეთთან საშინაო მარცხის (1:3) შემდეგ თქვა, წავედიო, მაგრამ არ გაუშვეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ წასვლის თაობაზე მისი განცხადება არ მიიღო.

„ფედერაციის აღმასკომმა გადაწყვიტა, რომ სლიშკოვიჩი და პასალიჩი დატოვოს და ნდობას უცხადებს“ — ნათქვამია ოფიციალურ წერილში. აჰმეთ პასალიჩი ნაკრების დირექტორია და უნგრეთთან მატჩის შემდეგ მან სლიშკოვიჩს მიბაძა ანუ გადადგომაზე განცხადება დაწერა.

მწვრთნელმა და დირექტორმა დაიჟინეს, გადაწყვეტილებას არ შეეცვლითო, მაგრამ ფედერაციამაც არ დათმო.



ბლაჟ სლიშკოვიჩი

47 წლის ბლაჟ სლიშკოვიჩმა 2006-ის დასაწყისში კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა. იგი 2002-ში ჩაუდგა ნაკრებს სათავეში და მიუხედავად იმისა, რომ ვერც ევრო 2004-ზე და ვერც ამ წლის მუნდიალზე გუნდი ვერ გაიყვანა, მაინც ენდობიან. მომდევნო შესარჩევი მატჩი ბოსნიელებს 7 ოქტომბერს მოლდოვასთან ელით.

ირაკლი ნინიძე

რვაწლიანი მუხლი

სესკ ფაბრეგასმა რვაწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და კიდევ დიდხანს იქნება „მეთოფე“. ამის შესახებ მედიას თვით არსენ ვენგერმა ამცნო: „ბევრ ფეხბურთელს არ აქვს ასეთი ხელშეკრულება. ის 19 წლისაა და ძირითადში თამაშობს. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, იმიტომ, რომ ორიოდე თვის წინ, სესკს „რეალის“ ფეხბურთელად აცხადებდნენ“.

ფეხბურთელმა კი თქვა: „ყველაფერი კარგადაა. ლონდონში თავს დიდებულად ვგრძნობ. ხელს კი იმ კვირაში მოვაწერ. მომწონს არსენ ვენგერის ხელქვეით მუშაობა. ჩემს კარიერაში ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა.“

ირაკლი გამყრელიძე

ინგლისი

ჩემპიონატი. VII ტური

ბარნლი — ბარნსლი 4:2; იფსვიჩი — ქოვენთრი 2:1; ლესტერი — ჰალი 0:1; ლუთონი — კოლჩესტერი 1:1; პლიმუთი — კარდიფი 3:3; პრესტონი — ვესტ ბრომვიჩი 1:0; უენსდი — სტოკი 1:1; საუთენდი — ნორვიჩი 3:3; გულვზი — დერბი 0:1; კრ. პალასი — საუთჰემპტონი 0:2; ქუინზ პარკი — ბირმინგემი 0:2

ბირმინგემი	7	5	1	1	9:5	16
ვულვზი	7	4	1	2	6:5	13
კარდიფი	7	3	3	1	10:7	12
პრესტონი	7	3	3	1	8:6	12
ნორვიჩი	7	3	2	2	13:10	11
ბარნლი	7	3	2	2	11:8	11
ლუთონი	7	3	2	2	10:8	11
ვესტ ბრომვიჩი	7	3	2	2	7:5	11
საუთჰემპტონი	7	2	4	1	10:7	10
პლიმუთი	7	2	4	1	11:10	10
ქოვენთრი	7	3	1	3	7:6	10
კრ. პალასი	7	3	1	3	10:10	10
იფსვიჩი	7	3	1	3	9:9	10
სტოკი	7	1	5	1	8:7	8
ლიდსი	6	2	2	2	4:4	8
დერბი	7	2	2	3	9:11	8
საუთენდი	7	2	2	3	8:10	8
ბარნსლი	7	2	2	3	13:18	8
უენსდი	7	1	4	2	4:5	7
კოლჩესტერი	7	2	1	4	10:12	7
ლესტერი	7	2	1	4	4:7	7
სანდერლენდი	6	2	0	4	8:10	6
ქუინზ პარკი	7	1	3	3	7:11	6
ჰალი	7	1	1	5	5:10	4

შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური

ჰეკენი 1:4 გიოტებორგი
ჰელსინგბორგი 3:1 მალმიო

აიკ	16	9	5	2	32:16	32
ელფსბორგი	16	8	7	1	29:14	31
გიოტებორგი	17	8	6	3	28:16	30
ჰამარბი	16	9	2	5	27:20	29
მალმიო	17	8	4	5	30:24	28
კალმარი	17	8	2	7	23:19	26
იურგორდენი	16	6	6	4	18:15	24
გეფლე	17	6	4	7	18:25	22
ჰელსინგბორგი	16	5	6	5	24:22	21
გაის	16	5	5	6	17:20	20
ჰალმსტადი	17	4	6	7	13:21	18
ჰეკენი	17	2	6	9	18:31	12
იორგრიტე	17	2	5	10	16:29	11
იოსტერსი	17	2	4	11	12:33	10

რომის პაპის სურათი ნიბურგის ჯიბეში

ბრიგელი გაფრთხილებთ: გასახდელში ლარსენთან ჯდომა მავნებელია ჯანმრთელობისთვის

უდო ლატეკი



ერიკ კანტონა

ჯადოებზე არც ისე დიდი ხნის წინათ გვწერა, აი, კარგად დაცდაზე კი, მგონი, არ დაგვწერია და ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. მერედა, ჯადო აფრიკული ამბავია და, როგორც ამბობენ, შავ კონტინენტს გარშემორტყმულ წყალს აქეთ ვერ გამოდის. მოკლედ, კურდღლის თათები და რაღაც ამდაგვარი, დროებით აფრიკას დავუტოვოთ და ევროპულ საქმეებს მივხედოთ. მაგალითად, ასეთს: დიდ დანიელ ვარსკვლავს, პრებენ ელკიერ ლარსენს მინცდამინც გასახდელში უნდა მოეწია სიგარეტი. „ვერონაში“ მისმა გერმანელმა თანაგუნდელმა ჰანს პეტერ ბრიგელმა მერე თქვა, ძალიან მიხარია, ბოლისგან რომ არ დავიხრჩვიო.

ერთი სიტყვით, ფეხბურთელები ცრუმორწმუნე ხალხია და ამის მაგალითი სპორტის ამ სახეობის ისტორიას მრავლად მოეპოვება.

1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის ნაკრები გახდა და რატომ, იცით? იმიტომ, რომ რობი სტაილსი მასაჟისტებს აიძულებდა, ყოველი თამაშის წინ მკერდში, სახესა და ხელებში მისთვის ზეითუნის ზეთი შეეზილათ, ხოლო ჯეკი ჩარლტონი გასახდელიდან მოედანზე გასვლის წინ ბუცებზე ქაცვებს იცვლიდა, მოთელვის მერე კი ისევ გასახდელში ისე არ შებრუნდებოდა, თუნდაც ცარიელ კარში ბურთი რომ არ შეეგდო.

გაცილებით დაბალ დონეზე მოთამაშე ბრუნო აკრაპოვიჩი 8-ნომრიან მაისურას არ იცილებდა. კოტბუსის „ენერგის“ მოთამაშეს თავისი პირველი პროფესიული კონტრაქტი სულ სხვა გუნდთან, ბიელეფილდის „არმინიასთან“ 1988 წლის 8 აგვისტოს ანუ მე-8 თვეს ჰქონდა გაფორმებული და იმიტომ.

დიდი ინგლისელი ფორვარდი და ამჟამად მოსწრებული სიტყვის ოსტატი-კომენტატორი გარი ლინეკერი ხომ იცით?! აი, ის რას აკეთებდა:

„მოთელვისას კარში არასოდეს ვარტყამდი, რადგან რომ ამეცილებინა, დარტყმას თვალი ეცემოდა. თუ გოლს ვერ გავიტანდი, შესვენებისას აუცილებლად ვიცვლიდი მაისურას, ხოლო თუ გავიტანდი, მეორე ტაიმის სათამაშოდ იმავე მაისურით გავდიოდი. აი, როდესაც დიდი ხანი უგოლოდ გავიდოდა, პარიკმახერთან მივდიოდი“ — გვიამბობს ლინეკერი.

ნუ, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი შემადგენლობის შერჩევისას ჰოროსკოპის ნიშნებით რომ სარგებლობს, ეს „სარბიელის“ მკითხველისთვის ნათქვამი გვაქვს. გეხსომებათ იოან მიკუს კომენტარიც: „ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე იმიტომ არ წამიყვანეს, რომ ჰოროსკოპით ლომი ვარ, ერთ გუნდში ბევრი ლომის დაგროვება კი მწვრთნელს არ უნდოდა“. რაც შეეხება რობერ პირესს, ის მორიელობამ დაღუპა. ამბობენ, დომენეკს მორიელი ფეხბურთელები არ უყვარს, რადგან მორიელებს თავის განადგურება სჩვევიათ.

რა ახსნა-განმარტება იმას უნდა, რომ ყოველი საფეხბურთო მატჩი ნებისმიერი მოთამაშისთვის დიდი დატვირთვაა და ორგანიზმიდან დიდი რაოდენობით სითხე გამოაქვს. ამიტომ ექიმები ფეხბურთელებს, შეხვედრამდე რამდენიმე დღის განმავლობაში, წყალში დიდხანს ლივლივს და საუნებს არ ურჩევენ, მაგრამ გაგიგონიათ?! ერიკ კანტონა, რომლის ვინაობას დიდი შეხსენება არ სჭირდება, სწორედ მატჩის დღეს ყოველ დილით ხუთი წუთით უნდა ჩაწოლილიყო აბაზანაში.

გადასარევი რამ სჭირდა გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს თავდამსხმელს გერდ მიულერს — ფეხის ზომა 38 ჰქონდა, მაგრამ აუცილებლად 41 ნომერ ბუცს იცვამდა. ამბობდა, დიდი ფეხსაცმლით სირბილი გაცილებით მოსახერხებელიაო.

მისგან აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ავსტრიელ თავდამსხმელს იოჰან ეტმაიერს. ის ყოველთვის ორი ნომრით პატარა ფეხსაცმელს იცვამდა და ამ ამბავს ასე იგონებს:

„ყოველთვის მინდოდა ფეხზე პრეზერვატივი მქონოდა ჩამოცმული, წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხს ვერ ვგრძნობდი“.

ვერ გეტყვით, თემა, რომელზეც უნებლიეთ გადავედით, რამდენად არის დაკავშირებული ცრურწმენებთან, თუმცა ვფიქრობთ, მაინც სახალისოა და გვაპატიებთ, ხოლო ის, რაზეც ქვემოთ უნდა მოგახსენოთ, პირდაპირ ცუდად დაცდას ეხება — არგენტინის ნაკრების მწვრთნელს კარლოს ბილარდოს 1986 წელს ღრმად სწამდა, რომ ქათამი დათარსული ფრინველია და მარადონა და მისი რაზმი მსოფლიოს ჩემპიონები ისე გახდნენ, რომ მთელი თვის განმავლობაში ქათმის ხორცი პირთან არ მიუკარებიათ. ხოლო ის, რომ ბილარდომ პირველი თამაშის წინ კბილის პასტა ერთ-ერთი ფეხბურთელისგან ითხოვა და მერე ყოველ დღე ამას იმეორებდა, ცნობილი ამბავია და მხოლოდ შეგახსენეთ.

ერთხელ, „შალკეს“ მეკარემ ნორბერტ ნიბურგმა თქვა: „ჯიბეში რომის პაპის სურათი რომ არ მდებოდა, 3:0-ს ვერ მოვიგებდით“.

ჟორჟინიუ „ლევერკუზენში“ თამაშისას მეტოქის კაპიტანს განა მხოლოდ ვიმპელს აძლევდა, აუცილებლად ბიბლიასაც დაურთავდა.

ჰორსტ ერმანტრაუტმა „აინტრახტის“ მწვრთნელად მუშაობის დროს, თავისი ასისტენტი ბერნარდ ლიპერტი ამოიჩემა, უარყოფით ენერგიას ასხივებსო. იმავე „აინტრახტმა“ ყავა „იაკობსის“ ზედ თამაშის წინ სმით ზედიზედ 21 შეხვედრა მოიგო. მაშინ გუნდს დიულ ლორანტი ედგა სათავეში.

ცნობილმა მწვრთნელმა უდო ლატეკმა 1987-88 წლების სეზონის დასაწყისში მწვანე ნაქსოვ სვიტრს აგვისტოშიც გაუძლო და მერე ზედიზედ 14 თამაშის განმავლობაში არ გაუხდია, რადგან ასე, მისი „კიოლნი“ არ მარცხდებოდა, მაგრამ ბრემენში სვიტრმა ძალა დაკარგა.

ბრაზილიელი ნახევარმცველი, დიდებული სოკრატესი გასახდელიდან სულ ბოლო გამოდიოდა, ახლანდელი ინგლისელი ვარსკვლავი ჯონ ტერი კი თურმე მუხლსაცვამს ანიჭებს ჯადოსნურ მნიშვნელობას.

პაპუნა კედია

კაკა თამაშის კითხვას სწავლობს

„მილანის“ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა კაკამ მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მიზეზი: მას გულში „როსონერის“ სიმბოლოდ გახდომა ამოუჭრია.

„სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის, რომ მადრიდელები კაკას მთელი ზაფხულის განმავლობაში სთავაზობდნენ მათთან გადაბარგებას, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდათ.

„ბედნიერი ვარ „მილანში“ და არსად წასვლას არ ვაპირებ — უთხრა 24 წლის მოთამაშემ „მილანის“ ტელეარხს — მინდა ამ გუნდის ლიდერი გავხდე, რასაც წლითი წლობით, სულ მეტი და მეტი პასუხისმგებლობის აღებით მივაღწევ. მე ამ პასუხისმგებლობის არ მეშინია. რა თქმა უნდა, კარგად თამაში კარგია, მაგრამ მე მარტო ეს არ მაკმაყოფილებს, რაღაც მეტი მინდა. კარგად თამაში უბრალოდ, კარგ ფეხბურთელსაც შეუძლია, ლიდერი კი სულ სხვა როლს თამაშობს. თუ თამაში გამარჯვებით არ დამთავრდება, კარგი ეპიზოდის ფასი არაფერია.

ვგრძნობ, რომ თამაშის წაკითხვაში ვიზრდები, ეს კი ისეთ თვისებათა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც დროს მოაქვს. მართალია, წინ კიდევ ბევრი რამ არის სასწავლი, მაგრამ „მილანში“ გატარებულმა ორმა წელიწადმა დაღი დამასვა და დღევანდელ და ორი წლის წინანდელ საკუთარ თავს შორის განსხვავებას ვგრძნობ“.

შემდეგ, ბრაზილიელმა თანამემამულეს, „მილანის“ ახალწვეულ რიკარდო ოლივეირას შეაწია ორიოდ სიტყვა. მოგეხსენებათ ოლივეირამ სერია A-ს პირველივე ტურის შეხვედრაში „ლაციოს“ გაუტანა გოლი.

„მიხარია სეზონი გამარჯვებით რომ დავიწყეთ და „ლაციოსთან“ უშიშრად ვითამაშეთ, თუმც მეორე ტაიმი ძნელი გამოდგა. ოლივეირა? ის ძლიერ გუნდებში ნაწრთობი კაცია და ყველგან კარგი სახელი დაუტოვებია. „მილანში“ ძალიან წაგვადგება, რადგან ფილიპო ინძაგისა და ალბერტო ჯილარდინოსგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. მთავარია, თავიდანვე ფსიქოლოგიურად ზედმეტი ტვირთი არ ავკიდოთ“.

პაპუნა კედია

სპილომ შტილიკე დაპატიჟა



ული შტილიკე

გერმანიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ყოფილ მცველი შტილიკეს, სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს. კოტდივუარელი საფეხბურთო ჩინოსნების თქმით ახლა შტილიკე აბიჯანში უნდა ჩავიდეს და ორწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოში შტილიკესთვის შეთავაზებული თანამდებობა, შტილიკეს თანამემამულემ იურგენ კოლერმა უარყო.

კოტ დივუარი 2002-03 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ, აჯანყებულთა მხარდამჭერ ჩრდილოეთად და მთავრობის ერთგულ სამხრეთად არის დაყოფილი. ამჟამად სროლა შეწვეტილია, მაგრამ აბიჯანს პერიოდულად დემონსტრაციათა ტალღა გადაუვლის ხოლმე და ქუჩის ძალადობებიც მაშინვე იჩენს თავს.

კოტ დივუარის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან ივლისში ფრანგი ანრი მიშელი გადადგა.

პაპუნა კედია

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური

A ჯგუფი

ჭიანჭველა ბილიარდის მაგიდაზე

ბალაკის პირველი ჩელსური გოლი

ბარსელონა 5:0 ლევსკი

1:0 ინიესტა (7), 2:0 ჟიული (39), 3:0 პუიოლი (49), 4:0 ეტოო (58), 5:0 რონალდინიო (90)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ტურამი (ოლეგერი 80), ვან ბრონკჰორსტი, ჟიული (გუდიონსენი 63), მოტა, დეკუ, ინიესტა (ხავი 72), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

ლევსკი: გ. პეტკოვი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ს. ანგელოვი, ბორიმიროვი (მინევი 62), ტელეკისკი, ბარდონი, ერომოიგბე, ივოვოვი (მ. ივანოვი 70), ე. ანგელოვი (გ. ივანოვი 46)

მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი

გაფრთხილება: გ. ივანოვი, მილანოვი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

91 326 მაყურებელი

კატალონიურმა „ბარსელონამ“ ისე დაიწყო, როგორც ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს შეეფერება. ფრანკ რაიკარდის შეგირდებმა მასტერკლასი ჩაუტარეს ლიგის დებიუტანტ სოფიის „ლევსკის“, რომელიც გადაჭედილ „ნოუ კამპზე“ ჭიანჭველასავით ჩანდა.

მე-7 წუთზე რონალდინიომ ჟივკო მილანოვი გააბითურა და სამუელ ეტოო მონახა, ვინც ქუსლით ანდრეს ინიესტას დაუგორა, მან კიეგრევე და ზუსტად დაურტყა გეორგი პეტკოვს. ამას, „ბარსას“ რამდენიმე გაფუჭებული მომენტი მოჰყვა, მაგრამ შესვენებამდე კატალონიელებმა მაინც მოასწრეს სხვაობის გაზრდა. ეტოომ ჟიულის კარგი პასი მიაწოდა, ფრანგმაც ერთი მცველი ჩამოიშორა და ცაციათი შეაგდო.

მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როდესაც რონალდინიოს საჯარიმო დარტყმა პეტროვმა ცუდად მოიგერია, ხოლო დამატებაზე კარლეს პუიოლს ვერავინ დაასწრო. ბოლოს და ბოლოს თავისი გოლი ეტოომაც შეაგდო, რომელმაც ორი მცველი ჩამოიშორა და 16 მეტრიდან ზუსტად დაუმიზნა კარს. აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ჰრესტიჯის გოლის გატანის შანსი „ლევსკისაც“ ჰქონდა, თან არაერთი, მაგრამ ბულგარელებს არ გაუმართლათ. წერტილი კი რონალდინიომ დასვა. ბრაზილიელმა ერთ-ერთი საყვარელი ფინტით მოატყუა მეტოქე და ბურთი ცხრიანში ისე ადვილად მოათავსა, იფიქრებდი ახლოდან ხელით ისროლაო.

ვთქვათ ისიც, რომ საოცრად ითამაშა „ბარსას“ ახალწვეულმა ლიანელ ტურამმა. გარდა იმისა, რომ ვეტერანი ფრანგი დაცვაში კლდესავით იდგა, კინაღამ გოლიც შეაგდო. ხოლო როდესაც იგი ოლეგერით შეცვალეს, გულშემატკივრებმა მხურვალე ოვაციებით გააცილეს მინდვრიდან.

რონალდინიო: „ასეთმა მოგებამ უფრო მეტი თვითდაჯერება შეგვძინა, რაც გვჭირდებოდა. ეს ბრწყინვალე საღამო იყო და გამიხარდა, რომ მეც გავიტანე. უკეთეს დასაწყისს ვერც ვინატრებდით და მეტი არც არავის არ უნდა ეთხოვა“.

ჩელსი 2:0 ვერდერი

1:0 ესიენი (24), 2:0 ბალაკი (68ბ)

ჩელსი: ბ. ჩეხი, ბულარუზი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ესიენი, მაკელელი, ბალაკი (მიკელი 90), ლამპარდი, შევჩენკო (ჯ. კოული 81), დროგბა (ს. კალუ 86)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ვერდერი: რაინკე, ფრიცი, პასანენი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ბაუმანი (ზიდანი 86), ბოროვსკი, დიეგო, კლოზე, კლასნიჩი (უგო ალმეიდა 66)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ტერი, ბაუმანი, დროგბა, ლამპარდი, ჯ. კოული

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

32 135 მაყურებელი

ამ მატჩისგან, ალბათ, ყველა მეტს ელოდა. ელოდნენ „ჩელსის“ მოგებასაც, მაგრამ არა ასე. ლონდონელებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ სახიფათო მომენტებამდე იშვიათად მიდიოდა საქმე. უღიმღამოდ გამოიყურებოდა „ვერდერიც“. ბრემენელებს მთელი მატჩის მანძილზე სულ ორი სახიფათო მომენტი ჰქონდათ — მიროსლავ კლოზეს ორი თავური. მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირმა ერთხელ კარს გადააცილა, ხოლო მეორედ ხარიხას მოარტყა.

პირველი გოლი „ჩელსიმ“ ბრემენელთა დაცვის უხეში შეცდომის წყალობით გაიტანა, მეორე კი — მიხაელ ბალაკის ყუმბარისებური დარტყმით პენალტის ნიშნულიდან. ოღონდ იყო თუ არა პენალტი, ეს ცალკე საკითხია. კლემენს ფრიცმა დიდი დროგბას თითქოს კი უბიძგა, მაგრამ კოტდივუარელმაც კარგად გააფორმა. ამის მერე აშკარა გახლდათ, რომ „ვერდერი“ ვეღარაფერს გახდებოდა და ლონდონელებმა მატჩი მშვიდად ჩამათავრეს.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა კი პასიურად მოთამაშე ფრენკ ლამპარდი გააკრიტიკეს და ისიც თქვეს, „ჩელსის“ ფეხბურთელებმა ბევრი ყვითელი ბარათი მიიღეს და სიმულანტობასაც არ ერიდებოდნენო.

13605 ბრაგა-კიევი	1.70	1.90
13606 სეტუბალი-ჰერენვენი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ფასდება ერთნაირად)

14567 რუბინი-პარმა	1.70	1.20
14568 მაკაბი ჰ-ლიტექსი	1.65	2.30
14569 ლევადია-ნიუკასლი	2.40	1.20
14570 ჰერტა-ოდენსე	1.20	2.50
14571 ლეგია-აუსტრია	1.45	2.40
14572 ჩერნომორეცი-ჰაპოელი	1.60	2.30
14573 ეთნიკოსი-ლანსი	2.50	1.35
14574 ქსანთი-დინამო(ბქ)	1.80	1.90
14575 სტარტი-აიაქსი	2.50	1.30
14576 ლოკომოტივი(მ)-ზ ვარეგემი	1.05	2.90
14577 პეტრუალკა-ესპანიოლი	2.10	1.70
14578 ლიბერეცი-ცრვენა ზვეზდა	1.65	2.20
14579 ბეშიქთაში-ცსკა(ბულ)	1.30	2.50
14580 შალკე-ნანსი	1.20	2.60
14581 რაპიდი(ბ)-ნახიონალი	1.30	2.50
14582 ტრაბზონი-ოსასუნა	1.80	1.90
14583 პარტიზანი-გრონინგენი	1.60	2.30
14584 აგვიდაბერგი-გრასჰოპერი	2.40	1.40
14585 ბახელი-რაბოტნიკი	1.04	2.90
14586 ალკმაარი-კაისერი	1.05	2.90
14587 დერი-პსე	2.60	1.20
14588 სლავია-ტოტენჰემი	2.20	1.70
14589 მოლდე-რეინჯერსი	2.20	1.70
14590 დინამო ზ-ოსერი	1.80	1.90
14591 ლოკომოტივი ბ-ფეიენოორდი	2.00	1.80
14592 სიონი-ლევერკუზენი	2.30	1.60
14593 ვისლა-ირაკლისი	1.25	2.60
14594 პანათინაიკოსი-მეტალურგი(ზ)	1.05	2.90
14595 სტანდარდი-სელტა	1.90	1.80
14596 ჰართსი-სპარტა	1.70	2.10
14598 ლივორნო-პაშინგი	1.25	2.60
14599 რუფომბერიკი-ბრიუგე	1.80	1.90
14600 ვესტ ჰემი-პალერმო	1.60	2.20
14601 აინტრახტი-ბრიონდბიუ	1.40	2.40
14602 მარსელი-ბოლესლავი	1.05	2.90
14603 ზალცბურგი-ბლექბერნი	1.80	1.90
14604 აგრიგენტოსი-სევილია	2.60	1.15
14605 ბრაგა-კიევი	1.80	2.00
14606 სეტუბალი-ჰერენვენი	1.70	2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15567	რუბინი-პარმა	3.00	2.80	2.00
15568	მაკაბი ჰ-ლიტექსი	3.00	2.80	2.00
15569	ლევადია-ნიუკასლი	3.00	2.80	2.00
15570	ჰერტა-ოდენსე	3.00	2.80	2.00
15571	ლეგია-აუსტრია	3.00	2.80	2.00
15572	ჩერნომორეცი-ჰაპოელი	3.00	2.80	2.00
15573	ეთნიკოსი-ლანსი	3.00	2.80	2.00
15574	ქსანთი-დინამო(ბქ)	3.00	2.80	2.00
15575	სტარტი-აიაქსი	3.00	2.80	2.00
15576	ლოკომოტივი(მ)-ზ ვარეგემი	3.00	2.80	2.00
15577	პეტრუალკა-ესპანიოლი	3.00	2.80	2.00
15578	ლიბერეცი-ცრვენა ზვეზდა	3.00	2.80	2.00
15579	ბეშიქთაში-ცსკა(ბულ)	3.00	2.80	2.00
15580	შალკე-ნანსი	3.00	2.80	2.00
15581	რაპიდი(ბ)-ნახიონალი	3.00	2.80	2.00
15582	ტრაბზონი-ოსასუნა	3.00	2.80	2.00
15583	პარტიზანი-გრონინგენი	3.00	2.80	2.00
15584	აგვიდაბერგი-გრასჰოპერი	3.00	2.80	2.00
15585	ბახელი-რაბოტნიკი	3.00	2.80	2.00
15586	ალკმაარი-კაისერი	3.00	2.80	2.00
15587	დერი-პსე	3.00	2.80	2.00
15588	სლავია-ტოტენჰემი	3.00	2.80	2.00
15589	მოლდე-რეინჯერსი	3.00	2.80	2.00
15590	დინამო ზ-ოსერი	3.00	2.80	2.00
15591	ლოკომოტივი ბ-ფეიენოორდი	3.00	2.80	2.00
15592	სიონი-ლევერკუზენი	3.00	2.80	2.00
15593	ვისლა-ირაკლისი	3.00	2.80	2.00
15594	პანათინაიკოსი-მეტალურგი(ზ)	3.00	2.80	2.00
15595	სტანდარდი-სელტა	3.00	2.80	2.00
15596	ჰართსი-სპარტა	3.00	2.80	2.00
15597	ფენერბაჰჩე-რანდერსი	3.00	2.80	2.00
15598	ლივორნო-პაშინგი	3.00	2.80	2.00
15599	რუფომბერიკი-ბრიუგე	3.00	2.80	2.00
15600	ვესტ ჰემი-პალერმო	3.00	2.80	2.00
15601	აინტრახტი-ბრიონდბიუ	3.00	2.80	2.00
15602	მარსელი-ბოლესლავი	3.00	2.80	2.00
15603	ზალცბურგი-ბლექბერნი	3.00	2.80	2.00
15604	აგრიგენტოსი-სევილია	3.00	2.80	2.00
15605	ბრაგა-კიევი	3.00	2.80	2.00
15606	სეტუბალი-ჰერენვენი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16567 რუბინი-პარმა	1.40	2.30
16568 მაკაბი ჰ-ლიტექსი	1.35	2.50
16569 ლევადია-ნიუკასლი	3.90	1.15
16570 ჰერტა-ოდენსე	1.15	3.90
16571 ლეგია-აუსტრია	1.30	2.90
16572 ჩერნომორეცი-ჰაპოელი	1.30	2.90
16573 ეთნიკოსი-ლანსი	3.20	1.25
16574 ქსანთი-დინამო(ბქ)	1.60	2.00
16575 სტარტი-აიაქსი	3.40	1.20
16576 ლოკომოტივი(მ)-ზ ვარეგემი	1.05	4.70
16577 პეტრუალკა-ესპანიოლი	2.15	1.50
16578 ლიბერეცი-ცრვენა ზვეზდა	1.35	2.60
16579 ბეშიქთაში-ცსკა(ბულ)	1.16	3.80
16580 შალკე-ნანსი	1.11	4.20
16581 რაპიდი(ბ)-ნახიონალი	1.22	3.30
16582 ტრაბზონი-ოსასუნა	1.60	2.00
16583 პარტიზანი-გრონინგენი	1.30	2.50
16584 აგვიდაბერგი-გრასჰოპერი	3.30	1.20
16585 ბახელი-რაბოტნიკი	1.03	6.50
16586 ალკმაარი-კაისერი	1.06	5.30
16587 დერი-პსე	4.00	1.11
16588 სლავია-ტოტენჰემი	2.30	1.45
16589 მოლდე-რეინჯერსი	2.50	1.35
16590 დინამო ზ-ოსერი	1.60	2.00
16591 ლოკომოტივი ბ-ფეიენოორდი	2.20	1.45
16592 სიონი-ლევერკუზენი	2.50	1.35
16593 ვისლა-ირაკლისი	1.20	3.10
16594 პანათინაიკოსი-მეტალურგი(ზ)	1.05	5.00
16595 სტანდარდი-სელტა	2.00	1.60
16596 ჰართსი-სპარტა	1.45	2.30
16598 ლივორნო-პაშინგი	1.18	3.70
16599 რუფომბერიკი-ბრიუგე	1.60	2.00
16600 ვესტ ჰემი-პალერმო	1.35	2.60
16601 აინტრახტი-ბრიონდბიუ	1.30	2.90
16602 მარსელი-ბოლესლავი	1.05	5.00
16603 ზალცბურგი-ბლექბერნი	1.60	2.00
16604 აგრიგენტოსი-სევილია	4.20	1.11
16605 ბრაგა-კიევი	1.55	2.10
16606 სეტუბალი-ჰერენვენი	1.50	2.20

გოლი:წყვილი-1ოუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17567 რუბინი-პარმა	1.85	1.95
17568 მაკაბი ჰ-ლიტექსი	1.85	1.95
17569 ლევადია-ნიუკასლი	1.85	1.95
17570 ჰერტა-ოდენსე	1.85	1.95
17571 ლეგია-აუსტრია	1.85	1.95
17572 ჩერნომორეცი-ჰაპოელი	1.85	1.95
17573 ეთნიკოსი-ლანსი	1.85	1.95
17574 ქსანთი-დინამო(ბქ)	1.85	1.95
17575 სტარტი-აიაქსი	1.85	1.95
17576 ლოკომოტივი(მ)-ზ ვარეგემი	1.85	1.95
17577 პეტრუალკა-ესპანიოლი	1.85	1.95
17578 ლიბერეცი-ცრვენა ზვეზდა	1.85	1.95
17579 ბეშიქთაში-ცსკა(ბულ)	1.85	1.95
17580 შალკე-ნანსი	1.85	1.95
17581 რაპიდი(ბ)-ნახიონალი	1.85	1.95
17582 ტრაბზონი-ოსასუნა	1.85	1.95
17583 პარტიზანი-გრონინგენი	1.85	1.95
17584 აგვიდაბერგი-გრასჰოპერი	1.85	1.95
17585 ბახელი-რაბოტნიკი	1.85	1.95
17586 ალკმაარი-კაისერი	1.85	1.95
17587 დერი-პსე	1.85	1.95
17588 სლავია-ტოტენჰემი	1.85	1.95
17589 მოლდე-რეინჯერსი	1.85	1.95
17590 დინამო ზ-ოსერი	1.85	1.95
17591 ლოკომოტივი ბ-ფეიენოორდი	1.85	1.95
17592 სიონი-ლევერკუზენი	1.85	1.95
17593 ვისლა-ირაკლისი	1.85	1.95
17594 პანათინაიკოსი-მეტალურგი(ზ)	1.85	1.95
17595 სტანდარდი-სელტა	1.85	1.95
17596 ჰართსი-სპარტა	1.85	1.95
17597 ფენერბაჰჩე-რანდერსი	1.85	1.95
17598 ლივორნო-პაშინგი	1.85	1.95
17599 რუფომბერიკი-ბრიუგე	1.85	1.95
17600 ვესტ ჰემი-პალერმო	1.85	1.95
17601 აინტრახტი-ბრიონდბიუ	1.85	1.95
17602 მარსელი-ბოლესლავი	1.85	1.95
17603 ზალცბურგი-ბლექბერნი	1.85	1.95
17604 აგრიგენტოსი-სევილია	1.85	1.95
17605 ბრაგა-კიევი	1.85	1.95
17606 სეტუბალი-ჰერენვენი	1.85	1.95

დრო აღარ ითმენს

გუშინ კიდევ ერთხელ შეიკრიბა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობა კარს მომდგარი სეზონისწინა საკითხების გადასაჭრელად. დღის წესრიგში 16 პუნქტი იყო, რომელთაგან მთავარი, ცხადია, ვაჟთა ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას ეხებოდა.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ გაირკვა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა. მიზეზი ისაა, რომ ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა დოლიძემ სხდომაზე დასწრება ვერ შეძლო. არადა, მზადების დეტალური გეგმაცაა დასაზუსტებელი და ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემებიც თავმოსაბმელი.

ერთი სიტყვით, ყველა კითხვას უახლოეს დღეებში უნდა გაეცეს პასუხი, თორემ საიანვრო შესარჩევ ტურნირამდე დრო არც ისე ბევრია დარჩენილი.

სხდომის შემდეგ ასოციაციის გენერალურ მდივანს ზურაბ კაკაბაძეს გავესაუბრეთ:

ფოტო ბესიკ ბესელიას

— ია ნვარში სპორტის სასახლის გათბობა დიდი პრობლემაა...

— სათადარიგო თანხა თუ იქნება, ამ საქმეს, ცხადია, ეშველება. სასახლეში თამაში საუკეთესო ვარიანტია, თუმცა ძვირი სიამოვნებაცაა. იქ ექვს-შვიდჯერ მეტი თანხაა გადასახდელი, ვიდრე სხვა დარბაზში. როგორც ვიცით, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დავალებით, ამ ჩვენს მთავარ დახურულ სარბიელს რეკონსტრუქცია უნდა ჩაუტარდეს. დღესხვალ საამისო ვადა უნდა დავაზუსტოთ, რომ მერე უხერხული ვითარება არ შეიქმნას.

— თამაშების კალენდარი საბოლოოდ დადგინდა?

— სათამაშო დღეები ევროპის ხელბურთის ფედერაციამ დაადგინა და ჩვენც ამ განრიგით უნდა ვიხელმძღვანელოთ. არის მხოლოდ ერთი ნიუანსი, რომელსაც ჩვენთვის არცთუ მცირე ფინანსური მნიშვნელობა აქვს. 14 იანვარს ბუქარესტში გვიწევს თამაში რუმინეთის ნაკრებთან, სამი დღის შემდეგ თბილისში ბულგარელებს უნდა ვუმასპინძლოთ, მერე კი საპასუხო შეხვედრისთვის სოფიაში გავემგზავროთ. ბუნებრივია, ეკონომიური თვალსაზრისით, ჩვენთვის ბევრად ხელსაყრელია ბუქარესტიდან სოფიაში გადასვლა და ჯერ იქ თამაში, ამიტომ მეტოქეებს და ევროფედერაციას უნდა ვთხოვოთ ბულგარეთთან მატჩების მიმდევრობის შეცვლა.

არის სხვა ორგანიზაციული საკითხებიც და ყოველივე ამის მოსაგვარებლად ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო, რასაც მხოლოდ ეროვნული ასოციაცია ვერ გასწვდება. სამთავრობო დახმარების გარეშე მიზნის მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება.

გია ახალაძე

ბორჯომის თასი

ჰარდი. საპრიზო 10 000 დოლარი

წვიმა მორჩა, ქართველები ჩაი-ხუთნენ

პირველი წრე

მანანა შაშაძიძე (1, საქართველო) — **დიანა დავითაია** (საქართველო) 6:0 6:4; **ლიუდმილა ნიჟოიანი** (სომხეთი) — **სოფიკო შარანგია** (საქართველო) 6:3 6:0; **მარიამ ძურდაძე** (საქართველო) — **ლუსინ დავთიანი** (სომხეთი) 7:5 7:5; **ელიზავეტა ტოჩილოვსკაია** (რუსეთი) — **ვოლჰა დუკო** (5, ბელარუსი); **ქრისტინა გრიგორიანი** (3, რუსეთი) — **ირინა მალაშოკი** (უკრაინა) 6:2 6:1; **შარიდა კარაევა** (უკრაინა) — **სოფო შაფათავა** (საქართველო) 2:6 6:4 6:2; **ეკატერინე გორგოძე** (საქართველო) — **გვანცა რობაქიძე** (საქართველო) 6:2 6:2; **იულია კალაბინა** (6, რუსეთი) — **სოფო ქვაცაბაია** (საქართველო) 6:3 6:0; **ამინა რახიმი** (8, ყაზახეთი) — **აუგუსტა ციბიჩევა** (რუსეთი) 6:0 6:4; **ანა მოვსისიანი** (სომხეთი) — **პრენა-მითრი აპინენი** (ინდოეთი) 6:3 6:0; **თეონა ცერცვაძე** (საქართველო) — **ნადეჟდა სამოილო** (რუსეთი) 6:0 6:3; **იულია სოლონიცკაია** (4, რუსეთი) — **ალისა ბუსლაევა** (უკრაინა) 6:0 6:1; **ელინა ჰასანოვა** (7, აზერბაიჯანი) — **ევგენია პაშკოვა** (რუსეთი) 6:0 6:2; **სალომე ჩაჩხუნაშვილი** (საქართველო) — **მარიამ სამქანაშვილი** (საქართველო) 6:1 6:4; **ვიქტორია სემეროდენკო** (უკრაინა) — **მაგდა ოქრუაშვილი** (საქართველო) 2:6 6:4 6:1; **ვარვარა გალანინა** (2, რუსეთი) — **ტატიანა კოტელნიკოვა** (რუსეთი) 6:1 6:3



სოფო შაფათავა

„იან ჰომერის“ სახელობის კორტებზე „ბორჯომის თასის“ პირველი წრე ჩათამაშდა. მოგეხსენებათ, ტურნირი გუშინწინ უნდა დაწყებულიყო და წვიმის გამო ერთი შეხვედრაც ვერ მოესწრო. გუშინ კი ჩამორჩენა ბოლომდე აღმოიფხვრა. გადადებული რვა თამაშიც ჩატარდა და ერთი ამდენი გრაფიკით გათვალისწინებულიც. თან ისე სწრაფად, რომ ოთხი საათისთვის კორტები მთლიანად წყვილებში მოთამაშეებს დარჩათ.

ძირითადი ბადის ოცდათორმეტ მონაწილეს შორის თორმეტი ქართველი იყო. მეორე წრის საგზური კი მათგან მხოლოდ ხუთმა მოიპოვა. აქედან სამმა თვისტომთან გამარჯვებით მიაღწია მიზანს. ტურნირის პირველმა ნომერმა მანანა შაფაქიძემ დიანა დავითაიას მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო, ოთხივე მეორე სეტში. შარშანდელი „ბორჯომის თასის“ ფინალისტის მორიგი მეტოქე თბილისური ტურნირების სტაჟიანი მონაწილე, სომეხი ლიუდმილა ნიქოიანი იქნება. გუშინ მან სოფო შარანგიას კიდევ უფრო ადვილად აჯობა, ვიდრე შაფაქიძემ დავითაიას. ორ სეტში მოამთავრა საქმე 14 წლის ეკატერინე გორგოძემაც. მან საკვალიფიკაციო ეტაპგავლილ გვანცა რობაქიძეს აჯობა და დღეს მეექვსე ნომრად განთესილ იულია კალაბინას დაუპირისპირდება. მეორე წრეში კალაბინამაც მასპინძლის ძლევით გააღწია. საქართველოს ნაკრების წევრმა სოფო ქვაცაბაიამ მხოლოდ პირველ სეტში შეძლო სამი გეიმის აღება, ხოლო მეორე გეუმმოუგებლად დამთმო.

მესამე ქართული წყვილი სალომე ჩაჩხუნაშვილმა და მარიამ სამქანაშვილმა შეადგინეს და გამარჯვება პირველს დარჩა — 6:1 6:4. დღეს სალომეს მეტოქე ელინა ჰასანოვა იქნება. მეშვიდე ნომრად განთესილმა აზერბაიჯანელმა გზიდან რუსი ევგენია პაშკოვა ჩამოიცილა.

თეონა ცერცვაძემ და ნინო ქურდაძემ პირველ წრეში თავისზე გამოცდილი და რეიტინგიანი უცხოელები დაამარცხეს და ბოლოსთვისაც ამად შემოვინახეთ. ცერცვაძემ ერთი ასეულით წინ მდგომ რუს ნადეჟდა სამოილს პირველ სეტში პირწმინდად აჯობა, მეორეში კი მხოლოდ სამი ქულა დაუთმო. ქურდაძემ სომეხ ლუსინ დავთიანთან ორსაათნახევრიანი უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა. ეს შეხვედრა მეორე კორტზე გაიმართა და ბევრმა ვერ უყურა. არადა, ცენტრალურ კორტს და ქომაგობას ალალად იმსახურებდა. ქართველს მეტოქის გასატეხად ოსაათნახევარი დასჭირდა — 7:5 7:5.

მეორე წრეში მარიამს რუს ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას სახით კიდევ ერთი მრისხანე მოწინააღმდეგე ელის. დასტურად ისიც კმარა, რომ ამ რუსმა „ბორჯომის თასის“ მეხუთე ნომერს, ბელარუს ვოლჰა დუკოს დააშალითებინა ჩოგანი. თეონას კი დღეს სამასი ადგილით წინ მყოფ იულია სოლონიცკაიასთან მოუწევს თამაში. ეს რუსი ტურნირის მეოთხე განთესილია.

გუშინ ჩატარებული თექვსმეტი შეხვედრიდან სამსეტიანი მხოლოდ ორი გამოდგა. ორივე ქართულ-უკრაინული იყო და ორივე სტუმრების გამარჯვებით დასრულდა. არადა მაგდა ოქრუაშვილმაც და სოფო შაფათავამაც მშვენივრად დაიწყეს და პირველი სეტი ისე მოიგეს, საქმის ბოლომდე მიყვანა თითქოს აღარ უნდა გასჭირვებოდათ.

განსაკუთრებით მოულოდნელი შაფათავას მარცხი იყო. ქართველი, რომელიც უახლესი რეიტინგით განთესილთა შორის ყოფნას იმსახურებს, თამაშს მთლიანად აკონტროლებდა. მეორე სეტში 4:2-ს იგებდა და თავად აწოდებდა, მაგრამ... ის მოწოდებაც წააგო, მომდევნო სამიც და მესამე სეტიც.

ოთარ მალლაკელიძე

სოჭური სინჯის ოქრო-ვერცხლი

სოჭში 1989 წელსა და შემდგომ დაბადებულ მძლეოსანთა კავკასიის თასის გათამაშებაში არაკავკასიელი, კერძოდ კი თურქი და ისრაელელი სპორტსმენებიც ჩაებნენ. ამ ტურნირში რუსეთის კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები თითქოსდა ცალ-ცალკე გუნდებად უნდა გამოსულიყვნენ, ასეთ შემთხვევაში კი საქართველოს წარმომადგენლები გულში გუნდურ პირველობაში გამარჯვებასაც ფიქრობდნენ, მით უმეტეს, რომ თითოეულ ნაკრებს თითო დისციპლინაში თითო სპორტსმენის გამოყვანა შეეძლო. ბოლოს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ერთ გუნდად თავმოყრა გადაწყვიტეს და ასე გაერთიანებული ძალით ჩაებნენ ბრძოლაში.

შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენმა სპორტსმენებმა სამი პირველი და ორიც მეორე ადგილი დაიკავეს. მათგან ჩემპიონობა მოიპოვეს თბილისელმა დინამოელმა გიორგი ბედოშვილმა (ბირთვის კვრაში — 18,58 მეტრი), ახალციხელმა ენდრო ზილბერშტეინმა (400 მეტრზე — 50,23) და ყვარლელმა მერაბ ქინიძემ (1500 მეტრზე — 3.57,31).

საინტერესოა, რომ გიორგი ბედოშვილს მამამისი, ყოფილი ბირთვისმკვრელი ასევე გიორგი ბედოშვილი ავარჯიშებს. ენდრო ზილბერშტეინის მწვრთნელიც მისივე ნათესავი, ცნობილი სტაიერი ზიგმუნდ ზილბერშტეინია, ხოლო მერაბ ქინიძეს სპორტულ სამყაროში უცნობი და ახალბედა მწვრთნელი, თუმც ასაკოვანი კაცი ელგუჯა გელდიაშვილი ავარჯიშებს.

ამ შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ქუთაისელმა ანა კაშიამ, რომელიც 100 მეტრზე თარჯრბენში გამოდიოდა (18,0).

ჩვენი სპორტსმენებიდან მეორე ადგილზე გავიდა შვედურ ესტაფეტაში (600X400X200X100მ) მორბენალთა გუნდიც.

პირველი დღის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზეა 62-ქულიანი რუსეთი, რომელსაც 38 ქულით საქართველოს გუნდი მოსდევს. ჩვენს ნაკრებს ხუთი ქულით ჩამორჩება აზერბაიჯანის გუნდი, მათ კი სომხეთისა მოჰყვება (28).

ავთანდილ ბუკიშელი

61-ე ფუელტა 26 აგვისტო-17 სექტემბერი

მე-17 ეტაპი. 13 სექტემბერი. არდა — ბრანადა. 167კმ

1. ტომას დანიელსონი (აშშ, დისკოვერი)	4სთ 9წთ 55წმ
2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა)	იგივე დრო
3. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკატელი)	+1წთ 10წმ
4. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+1წთ 39წმ
5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	
8. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა)	67სთ 29წთ 41წმ
2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+9წმ
3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+1წთ 51წმ
4. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+2წთ 14წმ
5. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+4წთ 32წმ

ნუ მიყურებთ!

როჯერ ფედერერს ტაიგერ ვუდსი აღელვებს

უიმბლდონური პოკერის შემდეგ როჯერ ფედერერმა აშშ-ს ღია პირველობაზე ჰეთ თრიკი შეასრულა. დიადმა ალპელმა წლეულს ავსტრალიაშიც იმარჯვა და ოთხიდან სამი სლემტურნირი მოიგო. „მხიარულმა როჯერმა“ იგივე ორი წლის წინაც გააკეთა, მაგრამ მაშინდელისგან განსხვავებით, წლეულს „როლან გაროსის“ ფინალშიც იყო და მისი მოგების შემთხვევაში ნაღდ „დიდ სლემსაც“ შეაგროვებდა, თუმც ეს საქმე სამომავლოდ გადაიდო. სხვა თემებთან ერთად, ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ფედერერისა და გოლფის მეფე ტაიგერ ვუდსის მეგობრობა აღმოჩნდა. ამაზე კი ქვემოთ:

— ხანდახან მაინც არ გაკვირვებთ თქვენივე თამაში?

— დიახ. მაგალითად, ასე როდიკთან ფინალში მოხდა — მართლა ფანტასტიკურად ვითამაშე. სხვანაირად აქ ამერიკელს ვერანაირად ვერ მოვუგებდი. მარტო ფინალი კი არა, მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩავატარე. ავსტრალიაში უფრო ვწვალობდი, ვიდრე ვთამაშობდი. წლეულს ნიუ ორკში ჩემი თამაში კი უიმბლდონზე გამოსვლას უფრო ჰგავდა, სადაც თავიდან ბოლომდე ვდომინირებდი.

— როდიკს ახლა ჯიმი კონორის წვრთნის. მის თამაშში რაიმე გაუმჯობესება შენიშნეთ?

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე ენდის მაშინ არ შევხვედრივარ, როცა ჩავარდნა ჰქონდა, ამიტომ შედარება ძნელია. მისი თამაში ყოველთვის უძლიერეს მოწოდებაზე იყო დამოკიდებული და დღესაც ასეა. თუმც გარკვეული სიახლეები არის, მაგალითად, ბადესთან გასვლას უფრო კარგად ახერხებს.

— ახლა უკვე 9 სლემტურნირია თქვენს ანგარიშზე. ამით უკვე გასცდით აგასის, კონორსს, ლენდლს. როგორია შეგრძნება?

— მათ გავცდი? არ ვიცოდი. ჰოოო, შეგრძნება მართლაც კარგია, მაგრამ მათ კომპანიაშიც კარგად ვგრძნობდი თავს.

— ზედიზედ სამჯერ მიჯრით მოიგეთ უიმბლდონი და აშშ-ს ღია პირველობა...

— კი და ეს სადღაც სასაცილოცაა. როცა პირველად მოვიგე უიმბლდონი და აქ ჩამოვედი, ყველა მეუბნებოდა ამერიკაში არაფერი გამოგივა, ცოტა ვინმეს თუ მოუგია ორივეო. ჩემი რეაქცია კი დაახლოებით ასეთი იყო — „მართლა?“ თუმც ასეთ ლაპარაკს ყურს არ ვუგდებდი და აგერ 2004-დან აქ დაუმარცხებელი ვარ. რა თქმა უნდა, თვითონაც მიკვირს, როგორ ვახერხებ ამას... დიდი შრომის მშვენიერი ანაზღაურებაა.

— ბოლო გათამაშება მოიგეთ და სიხარულისგან კორტზე დაეცით, რატომ გქონდათ ასეთი რეაქცია?

— ძნელი გამარჯვება იყო და იმიტომ. უბრალოდ, ვიგრძენი, რომ კარიერაში კიდევ ერთი ლამაზი მომენტი მქონდა. თან დავიმსახურე წამოწოლა. თითქოს ცოტა ხნით დასვენების უფლება მივეცი საკუთარ თავს. როცა ავდექი, გავიფიქრე კორტზე წოლა უფრო კომფორტული იქნება-მეთქი. იმ მომენტის გამეორება არ მინახავს, მაგრამ გეტყვით, რომ გადასარევად ვგრძნობდი თავს. ისე, მადლობა ღმერთს, ტრავმა რომ არ მივიღე.

— არ გეჩვენებათ, რომ სხვები თანდათანობით გეწევიან, თამაშს უმატებენ?

— სანამ პირველი ვარ, ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თუმც წლეულს რაფამ (ნადალი) სერიოზული წნეხის ქვეშ მომაქცია. დიდებული საგრუნტო სეზონი მქონდა, მაგრამ მან ყველაფერი წყალში გადამიყარა, უიმბლდონზე კი კვლავ ვირწმუნე საკუთარი თავის.

თუმც ისევ კარგები არიან ჰიუიტი, როდიკი, საფინი, იგივე რაფა. შეიძლება, ზოგს თამაში ახლა არ გამოსდიოდეს, მაგრამ ყველა დაიბრუნებს ძველ ფორმას და მეც გამიჭირდება ამ შედეგების გამეორება. მაგრამ ისიც ნაღდია, რომ არც მათ უნდა გაუადვილდეთ ჩემი ამ მწვერვალიდან ჩამოგდება.

— ტაიგერ ვუდსი თქვენ გიჭერდათ მხარს. მეგობრობთ? როგორ დაახასიათებდით, როგორც პიროვნებასა და სპორტსმენს?

— ტაიგერთან ამ დღეებში მოვახერხე დაახლოება. შარშან შანხაიში გავიცანი, თუმც იმის მერე ვერსად ვნახე — ორივეს ძალიან გადატვირთული კალენდარი გვაქვს. მაგრამ ახლა კარგად გავიცანი. მას ხომ ჩემი ყველაზე მეტად ესმის — იცის, როგორი წნეხის გაძლება მიწევს, როცა ყველა მოგებას ელის ჩემგან. თითქმის ერთნაირი ცხოვრება გვაქვს და ამიტომაც კარგად გავუგეთ ერთმანეთს. თან ჩემი მშობლები გოლფის დიდი მოტრფიალენი არიან და ტაიგერმაც არ დაიაზარა მათთან საუბარი. მოკლედ, ძალიან სასიამოვნო პიროვნებაა, არ ველოდი ასეთი თუ იქნებოდა.

— თავისი ცნობილი ქუდი არ მოგცათ?

— არა, თან ძალიან ვთხოვე, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

— წლეულს კიდევ რამდენ ტურნირზე ითამაშებთ?

— დევისის თასზე, ასევე ტოკიოში, მადრიდში, ბაზელში, პარიზსა და შანხაიში. იმედია, შარშანდელისგან განსხვავებით, ტრავმას თავიდან ავიცილებ.

— ტაიგერის ყოფნა განერვიულებდათ?

— ცოტა. დაახლოებით ისეთი გრძნობა მქონდა, როცა პატარაობაში ჩემს თამაშებს მშობლები ან კიდევ მარკ როსე (შვეიცარიის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელი) ესწრებოდნენ. ამ დროს ცდილობ, ყველაფერი კარგად გააკეთო და შეიძლება, შეცდომები დაუშვა. ისე, ახლა ჩემზე ასე ჩემი თანამემამულეები რეაგირებენ. დამინახავენ და ფიქრობენ, — ღმერთმა დასწყევლოს, როჯერი მიყურებს და ნერვიულობას იწყებენ. ამიტომ ვცდილობ, მათ თამაშებს უფრო ტელევიზორში ვუყურო.

— ნადალის წაგებამ გაგაკვირვათ?

— კი. იუჟნი კარიერის საუკეთესო ბამაშს ატარებდა, მაგრამ რაფას წაგებას მაინც არ ველოდი.

— ინგლისურად მშვენივრად საუბრობთ. აქეთ-იქით მოგზაურობაში დახვეწეთ?

— თქვენნაირ ჟურნალისტს ასეთი ლაფსუსი არ ეკადრება -- უნდა გახსოვდეთ, რომ დედაჩემი სამხრეთ აფრიკიდანაა.

— „როლან გაროსი“ მომავალი მიზანია?

— ყველა ამაზე რატომ მეკითხება? უიმბლდონი ჩემთვის მაინც უფრო მეტს ნიშნავს.

— არ გინდათ, დაამტკიცოთ, რომ გრუნტზეც საუკეთესო ხართ?

— ისედაც ვიცი, რომ გრუნტზე კარგად თამაში შემიძლია, თუმც რაფა რომ არ იყოს, შეიძლება მართლა საუკეთესო ვყოფილიყავი. მეორეს მხრივ კი წლეულს საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ პარიზში თამაშიც შემიძლია და უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რაფა იქნება თუ არა — იქ მომავალ წელს მხოლოდ მოსაგებად ჩავალ.

— ტაიგერსა და ანიკა სორენსტრომს (ერთ-ერთი საუკეთესო ქალი მეგოლფეა) მეგობრული ქიშპი ჰქონდათ. რომელიმე მათგანი ღია პირველობას მოიგებდა თუ არა, მეორეს ურეკავდა ხოლმე. იგივეს გაკეთებას ხომ არ აპირებთ?

— ჯერ არა. ტაიგერს 12 სლემტიტული აქვს, მე კი მხოლოდ ცხრა. ამიტომ მან, ჯერ არაო, მერე კი ვნახოთ.

— ბლეიკთან უფრო ძნელი იყო ტრიბუნების ზეწოლის გაძლება თუ როდიკთან?

— აშკარად ბლეიკთან. მასთან ნამდვილი ჯოჯოხეთი მოიწყვეს. შეიძლება, როდიკთან ფინალის ხათრით შეიკავეს თავი, ან ჩემმა თამაშმა მოხიბლა. მოკლედ, არ ვიცი. თუმც შარშან ანდრე აგასისთან ფინალში და წლეულს ბლეიკის წინააღმდეგ გულშემატკივრები ძალიან ემოციურები და აგრესიულები იყვნენ.

— ტაიგერის დასწრებამ ზედმეტად განერვიულათ, მის რომელიმე თამაშზე მისვლას ხომ არ აპირებთ?

— კი, ნამდვილად. ბოლოსკენ რომ იქნება და ერთი ბურთის ჩაგდება დარჩება, იქ ვიდგები და ვნახოთ, ინერვიულებს თუ არა. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს ამას ნაღდად მოვახერხებ.

— წარმოგიდგენიათ, რომ ერთხელაც აქ, პრესკონფერენციაზე დამარცხებულის რანგში მოხვიდეთ?

— ყველაფერი ხდება და არც ეგ არის გამორიცხული.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი

ჰელსინკი. 13 სექტემბერი

ფინეთი 91:81 საქართველო

29:15 25:21 14:18 23:27

	წთ	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მ.ფ.	ს.ფ.	სულ	პასი	დკ.	ჩჭ.	ქ.
ტეემუ რანიკო	32	5/9	2/8	4/5	0	1	1	3	1	2	20
პეტრი ვირტანენი	31	2/3	7/8	2/2	0	1	1	2	2	2	27
კიმო მუურინენი	19	2/5	0/0	0/0	1	2	3	0	0	1	4
იუკა მატინენი	20	0/0	1/4	0/0	2	1	3	0	1	0	3
ჰანო მოტოლა	23	4/9	0/3	3/6	0	6	6	3	1	0	11
ტუუკა კოტი	20	4/8	0/0	0/0	7	3	10	3	0	0	8
ანტი ნიკილა	15	3/5	0/0	0/0	1	2	3	0	0	0	8
შონ ჰუფი	20	3/3	0/1	0/0	0	2	2	0	0	1	6
პეტერი კოპონენი	18	1/4	0/2	2/2	0	0	0	2	0	0	4
აკი ნიკილა	4	0/1	0/0	0/0	0	0	0	0	0	1	0

	წთ	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მ.ფ.	ს.ფ.	სულ	პასი	დკ.	ჩჭ.	ქ.
ტაირონ ელისი	32	1/1	3/6	2/2	1	1	2	0	1	0	13
ანატოლი ბოისა	9	0/1	0/2	0/0	0	0	0	0	0	0	0
მანუჩარ მარკოიშვილი	34	1/3	4/8	2/2	2	4	6	1	1	0	16
ვლადიმერ ბოისა	33	1/5	1/2	7/9	3	4	7	1	3	0	12
ზაზა ფაჩულია	32	8/13	0/0	20/24	3	10	13	0	5	1	36
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	20	0/1	1/2	1/2	1	5	6	1	2	0	4
ლაშა გამყრელიძე	27	0/1	0/1	0/0	0	2	2	3	2	0	0
ვიქტორ სანიკიძე	9	0/0	0/1	0/0	0	1	1	0	2	0	0
გიორგი ცინცაძე	4	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	2	0	0
ვახტანგ ნაცვლიშვილი	1	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	1	0	0

წთ — ნათამაშები დრო; 2-ქ. — ორქულიანი; 3-ქ. — სამქულიანი; საჯ. — საჯარიმო; მ.ფ. — მოხსნა მეტოქის ფარზე; ს.ფ.— მოხსნა საკუთარ ფარზე; დკ. — დაკარგვა; ჩჭ. — ჩაჭრა; ქ. — ქულა

ფინური სამიანების საუნა

ზაზა ფაჩულიამ 36 ქულა მოიხვეჭა

კადრი კალათბურთის ფოტო

ირაკლი პერტაია

მოდით, ერთი წუთით ასეთი რამ წარმოვიდგინოთ: 2007 წლის ადრიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ საღამოს სასტუმრო „აჭარასთან“ გაუვალი საცობებია. განახლებულ სპორტის სასახლესთან შექუჩებული მილეთი ნელ-ნელა შედის დარბაზში და ტრიბუნები პირთამდე ივსება. საქართველოს ნაკრები 71:60, ან ნებისმიერი თერთმეტი- და მეტქულიანი სხვაობით ამარცხებს ფინეთს და ჯგუფიდან გადის. გასული წლის 13 სექტემბერს ჰელსინკში 81:91 წაგებული მატჩი არავის ახსოვს — გახარებული ხალხი ხელში აბურთავებს გორდონ ჰერბერტს და, ვთქვათ, ზაზა ფაჩულიასაც...

რა კარგია, არა?! სულ რაღაც 11-ქულიანი გამარჯვება და A დივიზიონში გადასასვლელი პლეი ოფისკენ სავალი გზა ქართველებისთვის ხსნილია. თუმც დღეს ვერავინ დადებს თავს, რომ ერთი წლის შემდეგ გორდონ ჰერბერტის გუნდი შინ ამხელა სხვაობით გაიმარჯვებს. ეგებ 21-ითაც იძალოს, ჩვენც ეს გვინდა, მაგრამ დღესდღეობით ის რეალობა გვივსებს თვალებს, წუხელ ტელევიზიით რომ ვნახეთ. საქართველოს ნაკრებმა 10 ქულით წაგო ფინეთში და ვინც ამ მატჩს უყურა, არა გვგონია, ეს კატასტროფულ შედეგად ჩათვალოს — ჰერბერტის გუნდმა ამ ეტაპზე თავისი შესაძლებლობები ბოლომდე გამოიყენა და უფრო დიდი სხვაობით რომ არ დამარცხდა, იღბალს, უფრო კი ზაზა ფაჩულიას უნდა უმადლოდეს.

ცოტა უცნაურია, რატომ უნდა იყოს კმაყოფილი 2 ნბა-ელისა და ბობოლ-ბობოლა ევროპულ კლუბებში მოთამაშე კალათბურთელების მყოლი საქართველოს ნაკრები ფინეთში ათქულიანი მარცხით. სკანდინავიელებს ხომ არავინ ჰყავთ სახელიანი ჰანო მოტოლასა და ტეემუ რანიკოს გარდა. ისინიც კი ევროპის რიგით გუნდებში ბურთაობენ, მაგრამ ფინელებმა ქართველებზე კარგად იციან ბურთის გათამაშება და, რა თქმა უნდა, სამქულიანების სროლა.

...და მათ ჰყავთ ვიღაც პეტრი ვირტანენი, რომელსაც ფინეთის ჩემპიონატის გარეთ ცხვირი არ გაუყვია, მაგრამ პერიმეტრზე აბდაუბდად მოთამაშე ქართველებს 7 სამქულიანი კი ჩაუგდო. მარტო ვირტანენმა კი არა, შორი სროლები სხვებმაც გვიყარეს, ჩვენებს კი არც სროლები მისდიოდათ და ვერც სხვა კომპონენტებში ვარგოდნენ.

არადა, ჰერბერტმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ფინეთი სამქულიანებით გვემუქრებოდა. წასვლის წინ კანადელმა სპეციალისტმა თქვა, რომ პერიმეტრის გასაკონტროლებლად განსაკუთრებით მოამზადა გუნდი. ჰელსინკში კი ისე გამოჩნდა, რომ ქართველები სწორედ პერიმეტრის მისადგომებთან ყოფილან ყველაზე სუსტები, რადგან ფარქვეშა ბრძოლებში ასე თუ ისე აკავებდნენ ფინელთა მოძალებას.

მასპინძლებმა არაფრით ჩააგდეს ზაზა ფაჩულია, ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი — პირველ ტაიმში ისე დააგემოვნეს გარ-გარე თამაში, რომ მათ ქებულ ჰანო მოტოლას ფარქვეშ, მგონი, ბურთი საერთოდ არ მიუღია. ფინელები მხოლოდ საწყის 5 წუთში შეწუხდნენ, როცა ქართველები გონივრულად იცავდნენ თავს, ხოლო მასპინძელთა ტანმორჩილ ტანდემს ელის-პატარა ბოისას დუეტი წარმატებით აჩერებდა.

როცა ქართველებმა საწყისი სამქულიანები ააცილეს, ფინელებმა უკან დაიხიეს, პერიმეტრი დათმეს და საჯარიმოში გამაგრდნენ. ვლადიმერ ბოისას გალაღებას ის მოჰყვა, რომ 4:9 ჩამორჩენილი ქართველები ორი ქულით დაწინაურდნენ.

ამ დროს გორდონ ჰერბერტმა ცვლილებებს მიმართა, რომლებმაც აშკარად არ გაამართლა. ორი პერსონალურის მიმღები ანატოლი ბოისა მოედნიდან გავიდა, მაგრამ უკან დაბრუნება დაუგვიანდა. მანამდე ჩრდილში მყოფი ტეემუ რანიკო მალევე შევიდა მოედანზე და პეტრი ვირტანენთან ერთად უკანა ხაზი ქართველთა მომაკვდინებელ იარაღად აქცია.

სწორედ ამ ორი მოთამაშის ჩაუქობით ფინელებმა ელეთმელეთი მოუწყვეს ქართველებს და პირველ შესვენებამდე დარჩენილი 5 წუთი 18:2(!) მოიგეს — 29:15 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მეორე მეოთხედი კიდევ უფრო სამარცხივნო გამოდგა ქართველთათვის. ცქიტიშვილი, გამყრელიძე, ნაცვლიშვილი, ცინცაძე — სათადარიგო სკამიდან შესული მოთამაშეები პანტაპუნტით კარგავდნენ ბურთს, რომლებსაც ფეხმარდი სკანდინავიელები სამ ან ორქულიანებად გარდასახავდნენ.

ისე, მხოლოდ სამქულიანებში როდი ყოჩაღობდნენ ფინელები. მათ მთლიანობაში ქართველებზე 26 ქულით მეტი მოიპოვეს საშუალო მანძილებიდან სროლებით — ჩვენი დაცვა დიდ შესვენებამდე საცერივით იყო და ყველა კუთხე-კუნჭულიდან ეპარებოდა საჯარიმოში მომხდური.

შესვენების შემდეგ ქართველებმა ცოტა თვალში გამოიხედეს, მაგრამ მესამე ათწუთეულში მხოლოდ 4 ქულა გააბათილეს. თუმც იმედი გაჩნდა, რადგან მეტოქის დაბლებს ჩვენებმა ასე თუ ისე ლაგამი ამოსდეს. ვოვა ბოისამ და ტაირონ ელისმა სამქულიანები მიითვალეს, სხვაობა ათქულიან ზღვარს ჩამოაცილეს, მაგრამ ისევ ის ვირტანენი და მისი ლახვარსამქულიანები... 54:68.

ცხადი იყო, რომ ქართველები ამ თამაშის მომგებები ვეღარ იყვნენ, დარჩენილ დროში რაც შეიძლება, მეტი ქულის გაბათილება იყო საჭირო, რათა მომავალ სექტემბერს გულდამშვიდებულნი დავლოდებოდით. ეს კი მოახერხეს ჰერბერტის შეგირდებმა — უფრო სწორად, ზაზა ფაჩულიამ იყოჩაღა, რომელიც, იყო პერიოდები, მარტოდმარტო ებრძოდა და ჩაგრავდა კიდეც ფინელებს.

ქართველებმა სხვაობის ათ ქულამდე შემცირება საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე მოახერხეს, მაგრამ ფაჩულიამ მე-4 პერსონალური მიიღო და ბრძოლაში სიხისტე მოაკლდა. ჯერ იყო და, მის ნაცვლად შესულ ცქიტიშვილს მოტოლამ ორჯერ აჯობა და მერეც ფარქვეშიდანაც იხეირა.

ჰერბერტმა რამდენჯერმე პრესინგი ბრძანა, მაგრამ ქართული მარყუჟი ერთი მოძრაობით გაჭრეს ფინელებმა და ისევ ზაზა ფაჩულია რომ არა, მომავალი წლისთვის გაცილებით მეტი ქულის გაბათილება დაგვჭირდებოდა.

სატურნირო ვითარება

საქართველო	4	3	1	315-263	7
ფინეთი	3	3	0	271-217	6
ავსტრია	3	1	2	177-217	4
ისლანდია	2	0	2	151-173	2
ლუქსემბურგი	2	0	2	106-150	2

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური

E ჯგუფი

ლიონი 2:0 რეალი

1:0 ფრედი (10), 2:0 ტიაგუ (31)

ლიონი: კუპე, რეველიერი, კრისი, მიულერი, აბიდალი, ტიაგუ, ტულალანი, ჟუნინიო (კალსტრიომი 72), გოვუ (კლერკი 81), მალუდა, ფრედი (ვილტორდი 77)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

რეალი: კასილიასი, სისინიო, კანავარო, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, ბექემი (გუტი 55), დიარა, ემერსონი, კასანო (რეიესი 46), რაული (რობინიო 69), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: სერხიო რამოსი, რეველიერი, რობერტო კარლოსი, კანავარო, დიარა

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

35 814 მაყურებელი

დინამო 1:4 სტიაუა

0:1 გიონია (3), 1:1 რებროვი (16), 1:2 ბადია (24), 1:3, 1:4 დიკა (43, 79)

დინამო: შოვკოვსკი, მარკოვიჩი (ხოსე მორენო 61), როდოლფო, როდრიგო, ნესმაჩნი, ო. გუსევი, იუსუფი, კორეა (ბელკევიჩი 59), რინკონი, რებროვი (ოტალვარო 73), შაცკიხი

მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო

სტიაუა: კ. ფერნანდეში, საბანი, გოიანი, გიონია, ნესუ, ნიკოლიტა, პარასკივი, ლოვინი, კრისტოჩია (ოპრიტა 74), დიკა (ო. პეტრე 82), ბადია (ტერეაუ 70)

მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ

გაფრთხილება: ნესუ, ფერნანდეში, გიონია

მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)

35 000 მაყურებელი

F ჯგუფი

მანჩესტერი 3:2 სელტიკი

0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (21), 1:1, 2:1 საა (30პ, 40), 2:2 ნაკამურა (43), 3:2 სოლსკიაერი (47)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი, ფლეტჩერი, კარიკი, სქოულზი (ოში 80), გიგზი (სოლსკიაერი 32), რუნი (კ. რიჩარდსონი 86), საა

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

სელტიკი: ბორუცი, უილსონი (ტელფერი 51), კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, გრავესენი, ლენონი, იაროშიკი (კ. მილერი 56), მაკგიდი (მელოუნი 69), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: სილვესტრი, ბორუცი, მილერი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

74 031 მაყურებელი

კოპენჰაგენი 0:0 ბენფიკა

კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი, ჰანგელანდი, გრავგაარდი, ბერგდოლმო, სილბერბაუერი, ნორეგაარდი, ლინდეროტი, ჰათჩინსონი, გრონკიაერი (კვისტი 45), ბერგლუნდი (პიმპონგი 74)

მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი

ბენფიკა: კიმი, ალსიდესი, რიკარდუ როჩა, ლუიზაო, ლეო, პაულუ ჟორჟე, კაცურანისი, პეტიტი, სიმაო (მანუ 81), ნუნუ გომეში (ფონსეკა 90), ნუნუ ასისი

მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში

გაფრთხილება: ალსიდესი, ნორეგაარდი

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

40 000 მაყურებელი

G ჯგუფი

ჰამბურგი 1:2 არსენალი

0:1 ჟილბერტო სილვა (123), 0:2 როსიცკი (53), 1:2 სანოგო (90)

ჰამბურგი: კირშტაინი, დემელი (მაჰდავიკია 54), რაინჰარდტი, კომპანი, მატიისენი, იაროლიმი, დე იონგი, ტროხოვსკი, ვიკი (ვეხტერი 11), სანოგო, ლიუბოია (გერერო 82)

მწვრთნელი: თომას დოლი

არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე (ჰოიტი 29), ჯირუ, გალასი, გლები (ფლამინი 69), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ვან პერსი (ჟულიო ბაპტისტა 70), ადებაიორი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაძევება: კირშტაინი (10)

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

50 389 მაყურებელი

პორტუ 0:0 ცსკა

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბრუნო ალვეში, ეზეკეიაში, ლუჩო გონსალესი, ჰ. ასუნსაო, ანდერსონი, სეკტიუი (პოშტიგა 46), ადრიანუ (ლ. ლოპესი 71), კვარესმა (ალანი 61)

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, კრასიჩი, რახიმიჩი, ალდონინი, ჟირკოვი, კარვალიუ (რ. გუსევი 90), ვაგნერ ლავი (ოლიჩი 76), დუდუ (ვ. ბერეზუცკი 88)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

გაფრთხილება: რახიმიჩი, დუდუ, ჟირკოვი

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

40 000 მაყურებელი

H ჯგუფი

მილანი 3:0 აეკ

1:0 ინძაგი (17), 2:0 გურკუფი (41), 3:0 კაკა (77პ)

მილანი: დიდა, კაფუ, შიმიჩი, მალდინი, ფავალი (იანკულოვსკი 78), გატუზო, ბროკი (ამბროზინი 75), გურკუფი, კაკა, ინძაგი, რ. ოლივეირა (ზეედორფი 70)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

აეკ: სორენტინო, პაუტასო, დელასი (ივიჩი 55), ჩირილო, ციორციოპულოსი, კაპეტანოსი (ლაგოსი 46), ემერსონი (ტოშერი 70), მორასი, ჟულიო სეზარი, დელიბაშიჩი, ლიბეროპულოსი

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: მალდინი, ჩირილო, მორასი

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

31 836 მაყურებელი

ანდერლეხტი 1:1 ლილი

1:0 პარეხა (41), 1:1 ფოვერეი (80)

ანდერლეხტი: ჟიტკა, ვანდენ ბორე, პარეხა, ვან დამი, დეშახტი, ვანდერეგე, ბილია (იუპაში 68), ბუსუფა, გოორი, ა. ჰასანი, ტშიტე

მწვრთნელი: ფრენკი ვერკუტერენი

ლილი: ტ. სილვა, შალმე, პლესტანი, შმიტცი, ტაფორო, ა. კეიტა, კაბაიე (ფოვერეი 60), ბოდმერი, მაკუნი, ბასტოსი (იულა 60), ოდემვინეი (ლიხტშტაინერი 88)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

გაფრთხილება: კაბაიე, ბუსუფა, იულა, გოორი

მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

21 107 მაყურებელი

ოლე გუნარ სოლსკიაერმა ძველი დრო გაიხსენა: შეცვლაზე შედის და გააქვს

AFP მილანიდან

იოან გურკუფმა (მარჯვნივ) მილანური დებიუტი გოლით აღნიშნა

AFP ჰამბურგიდან

დიდად საკამათო ეპიზოდი: წააქცია თუ არა კირშტაინმა ვან პერსი?

„სტიაუას" იაუა კიევის „ოლიმპიისკზე"

ოლე, ალექს, ოლესთვის!

კახა კალაძეს ტრავმის გამო გუშინ ბერძენთა წინააღმდეგ არ უთამაშია და ასე რომ იქნებოდა, წინდაწინვე ვიცოდით. გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა ასევე წინდაწინ იყო დარწმუნებული „მილანის" გამარჯვებაში და მოლოდინმა არ უმტყუნაო. კალაძისიანებმა იოლად მოუგეს აეკს. მართალია, ისეც არ ყოფილა, ათენელებს მომენტი არ ჰქონოდეთ, მაგრამ მათი ორიოდე მომენტი რა მოსატანია მილანელთა ბლობად საგოლე შანსებთან, რომელთაგან სამი გოლად იქცა: ინძაგიმ მალდინის პასით გაიტანა, ფრანგ გურკუფს კაკამ გაატანინა, თავად კაკამ კი ინძაგის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით იხეირა. ისიც ვთქვათ, რომ კალაძის გარდა ანჩელოტის ნესტა და პირლო არ ჰყავდა.

ამ მატჩზე მეტი ინტრიგა კი, რასაკვირველია, ლიონურ მატჩს ახლდა. თამაში ალბათ თავადაც ნახეთ და დაგვერწმუნებით, რომ შედეგი სრულიად ლოგიკური და სამართლიანი იყო. კაპელოს მეორედ მისვლა მადრიდელებთან ნაღდად ვერ არის პირველივით შთამბეჭდავი — ყოველ შემთხვევაში, სეზონის საწყის მატჩებში. ისე ჩანდა, რომ „რეალს" მონდომებაც აკლდა და ამის გამო პირწმინდად დაიჩაგრა ფრანგთაგან.

„მილანზე" ვთქვით და „ლიონზეც" გავიმეორებთ: მათაც ძალიან ბევრი მომენტი შექმნეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, ჟუნინიომ ლამის ცენტრიდანაც გაუტანა კასილიასს, მსოფლიოს ჩემპიონმა კანავარომ მეტისმეტად სუსტად ითამაშა, რაული და ვან ნისტელროი კი ალაგ-ალაგ გაკრთებოდნენ ხოლმე ბურთის სიახლოვეს.

ლიგის ფინალისტ და პრემიერლიგაში ამ სეზონის საზიზღრად დამწყებ „არსენალს" ჰამბურგში იქაურთა მეკარის ადრიანად გაძევებამ გაუიოლა საქმე. ოლონდაც, მეკარის გაძევებისას მსაჯი შეცდა, რაკი კირშტაინი ვან პერსის არც შეხებია, „მეთოფე" თავისით წაიქცა. მაგრამ ასეა თუ ისე, „ჰამბურგი" კაცნაკლული დარჩა, პენალტიც გაუშვა და როსიცკიმ მეორეც მიუმატა.

გლაზგოდან მანჩესტერში ჩასვლა სულაც არ არის ძნელი და ამადაც იახლა „სელტიკმა"-7 ათასამდე შოტლანდიელი ქომაგი „ოლდ ტრეფორდზე", სადაც თანამედროვეობის უცნობილესი სქოთის, ალექს ფერგიუსონის გუნდს გაეჯიბრა.

ქება და დიდება სერ ალექსს, ვინაც დამტვრეული ოლე გუნარ სოლსკიაერი წლობით შეინახა, ამან კი ძველი დროება გაგვახსენა: რა თქმა უნდა, შეცვლაზე შევიდა და, რა თქმა უნდა, გამარჯვებისა გაიტანა. თავიდან კი „მანჩესტერი" აგებდა.

კოტე კეკელია

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00